

**GEORGIA**  
**ip**

განმთავრობი  
2012-2013  
WINTER

**საქართველო**

კობი - ეს შობაა  
"COBY - IT'S CHRISTMAS"

**საქპატენტი 20 წლისაა -  
განვითარება გამოცდილებაზე დაყრდნობით**  
**SAKPATENTI IS 20 YEARS OLD -  
DEVELOPMENT ON THE BASIS OF EXPERIENCE**  
**ჩიჩილაკი -  
ნაძვის ხის ქართული კონკურენტი**  
**CHICHILAKI -  
GEORGIAN COMPETITOR OF CHRISTMAS TREE**

[www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების  
ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“  
პერიოდული გამოცემა  
**IP საქართველო**

გამოდის სამ თვეში ერთხელ

© საქპატენტი, 2012



PERIODICAL PUBLICATION  
OF NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY  
CENTER OF GEORGIA "SAKPATENTI"

**IP GEORGIA**

PUBLISHED QUARTERLY

© SAKPATENTI, 2012





## ირაკლი ღვალაძე

საკპატენტის თავმჯდომარე

**IRAKLI GHVALADZE**  
**SAKPATENTI CHAIRMAN**

**Dear reader,**

The present issue of our magazine is festive. That is why almost all material presented in the magazine directly or indirectly retells us about New Year. One should agree that Georgia is the country of rich culture and traditions where all feasts are linked with peculiar, original rituals, clothes, drinks, songs or films. It is not an exception that every Georgian awaits New Year with special feelings. Georgian traditional "Supra" for that particular feast is also special with its unique Georgian cuisine and products, polyphonic Georgian "Mravalzhamieri"<sup>1</sup> and masterpieces of Georgian cinematography. For the coming year, as usual, in all Georgian families Georgian "Supra" will be served, glasses will be filled with unique Georgian drinks, Georgian "Mravalzhamieri" and legendary melody "snowflakes are falling down and snowflakes are singing..." will sound at least once, and catching even a glimpse of the movie "Kuchkhi Bedineri"<sup>2</sup>, although already watched many times, will put us in a good mood. But many Georgian families may not know that all the above described is not only a Georgian tradition, but also objects of intellectual property, appropriate protection and respect for which are among preconditions on the road to full integration into the civilized world.

That is why in the issue of this magazine we have tried to show you from the different angle well known and favorite melodies, films, traditional Georgian drinks for New Year and even products, the popularity of which are growing daily in Georgia and outside its boundaries.

The year 2012 was an anniversary date for our office. Sakpatenti is 20 years old. During 20 years the intellectual property system

### ძვირფასო მკითხველო,

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი სადღესასწაულოა, ამიტომაც ჟურნალში წარმოდგენილი თითქმის ყველა მასალა, პირდაპირ თუ ირიბად, სწორედ ახალ წელზეა. დამეთანხმებით, საქართველო მდიდარი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა, სადაც ყველა დღესასწაულს თავისებური, თვითმყოფადი რიტუალი, სამოსი, სასმელი, სიმღერა თუ კინოფილმი უკავშირდება. ასეა ახალ წელსაც. ამ დღესასწაულს ყველა ქართველი განსაკუთრებულად ელოდება, განსაკუთრებულია ამ დღესასწაულის ტრადიციული ქართული სუფრაც უნიკალური ქართული კერძებითა და პროდუქტებით, მრავალხმიანი ქართული მრავალჯამიერი-თა და ქართული კონემატოგრაფიის შედეგებით. წელსაც, რაღა თქმა უნდა, ყველა ოჯახში გაიშლება ქართული სუფრა, სასმისები უნიკალური ქართული სასმელებით შეივსება, ერთხელ მაინც გაიჟღერებს მრავალჯამიერი და ლეგენდარული მელოდია – „ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან...“, გაგვახალისებს, თუნდაც ცალი თვალით დანახული, უკვე მრავალჯერ ნანახი „კუჩხი ბედინერი“, მაგრამ შეიძლება ყველა ქართულმა ოჯახმა არ იცოდეს რომ ეს ყველაფერი არა მარტო ქართული ტრადიცია, არამედ ინტელექტუალური დაცვის ობიექტებია, რომელთა სათანადო დაცვა და პატივისცემა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ცივილიზებულ მსოფლიოში საქართველოს სრულყოფილი ინტეგრაციისთვის. სწორედ ამიტომ, ჩვენი ჟურნალის ამ ნომრით შევეცადეთ განსხვავებული თვალით დაგენახათ კარგად ნაცნობი და საყვარელი მელოდია, კინოფილმი, ტრადიციული ქართული საახალწლო სასმელი და პროდუქტიც კი, რომლის პოპულარობა ყოველდღიურად მატულობს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2012 წელი საიუბილეო თარიღი იყო ჩვენი უწყები-სათვის – საქპატენტი 20 წლისაა. ამ ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემა მნიშვნელოვნად განვითარდა. საკანონმდებლო დონეზე ის მიუახლოვდა კიდევ მსოფლიო სტანდარტს, თუმცა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების უფლება იყოს სათანადოდ დაცული, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის დაძლევა მოგვინევს. მომავალ წელს საქპატენტი გეგმავს გააგრძელოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში დაწყებული აქტიური საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომლის ფარგლებში უწყების უშუალო მონაწილეობით შესაძლებელი იქნება გადამუშავდეს, ითარგმნოს და გამოიცეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოღვაწე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნამუშევრები და ჩატარდეს სამუშაო

<sup>1</sup> Mravalzhamieri - Georgian traditional song wishing "long life".

<sup>2</sup> The same as Mekvle - one who first congratulates with New Year.

has developed a lot. On the legislative level it approached the world standards. However, we have to meet a lot of challenges in order to appropriately protect the intellectual property rights in Georgia.

Next year Sakpatenti plans to continue active PR campaign launched earlier in terms of raising awareness in the field of intellectual property. In the framework of such campaign and with participation of our office it will become possible to process, translate and publish the works of the Georgian and foreign scientists in the field of intellectual property and organize working meetings with right holders in different intellectual property fields, continue cooperation with different organizations acting in the field of intellectual property (WIPO, EPO, etc.) and with their active support and involvement jointly hold different local, regional or international conferences and seminars.

You might be aware that in Georgia, country of ancient viticulture, we encounter up to 500 endemic species of grapes, the wine made of which is unique for its special characteristics. Georgia is also rich in different plant varieties and unique traditional breeds of animals (dog, sheep, horse, etc.) full description and legal protection of which is still pending. Our country is also distinguished for its folklore works, unique handicraft methods the majority of which belongs to one of the most important objects of intellectual property – traditional knowledge. In this particular direction important steps need to be taken in 2013. In particular, data systematization of traditional knowledge and breeds, formation of legislative base needed for their protection and popularization on international level, which will strengthen the image of Georgia as a country of one of the ancient cultures in the world. Special programs are planned to stimulate and support Georgian inventors, which implies strengthening of the technology and innovation transfer center, established with support of Sakpatenti. Our Office is actively involved in all competitions for inventors and in organization of other different events which will be directed towards the motivation of activities of Georgian inventors and commercialization of their inventions.

And last but not least, on behalf of the Office and the whole editorial board, accept our best wishes for a Happy New Year. We would like to wish you peace, health and success in your business ventures. We believe that the year 2013 will be another important year in terms of strengthening of the intellectual property protection system in our country.

შეხვედრები სხვადასხვა დარგში მოღვაწე ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელთა მონაწილეობით, ასევე, გაგრძელდეს აქტიური თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (WIPO, EPO და სხვ.) და მათი მხარდაჭერითა და ჩვენი უწყების აქტიური მონაწილეობით გაიმართოს არაერთი ადგილობრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო სემინარი და კონფერენცია.

მოგესხებათ, საქართველოში, როგორც უძველესი მეღვინეობის კულტურის ქვეყანაში გვხვდება 500-მდე ყურძნის ენდემური ჯიშები, რომელთაგან დამზადებული ღვინო უნიკალურია თავისი თვისებებით. საქართველო მდიდარია აგრეთვე სხვა მცენარეთა და ცხოველთა (ძაღლი, ცხვარი, ცხენი და სხვ.) უნიკალური ტრადიციული ჯიშებით, რომელთა სრულყოფილი აღწერა და სამართლებრივი დაცვა, სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა. ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია, ასევე, ფოლკლორული ნიმუშებით, ხალხური რენვის უნიკალური მეთოდებით, რომელთაგან უმრავლესობა მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს – ტრადიციულ ცოდნას. 2013 წელს ამ მიმართულებითაც იგეგმება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: ტრადიციული ჯიშებისა და ცოდნის შესახებ მონაცემების სისტემატიზაცია, მათი დაცვისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა და პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის იმიჯის გამყარებას. იგეგმება სპეციალური პროგრამები ქართველ გამომგონებელთა ნახალისებისა და ხელშეწყობისათვის, რაც გულისხმობს საქპატენტის აქტიური მონაწილეობით შექმნილი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრის გაძლიერებას, გამომგონებელთათვის გამართულ ყველა კონკურსში უწყების აქტიურ ჩართულობას, ასევე, სხვა ღონისძიებების ორგანიზებას, რომლებიც უშუალოდ იქნება მიმართული ქართველ მეცნიერთა და გამომგონებელთა საქმიანობის მოტივირებისა და კომერციალიზაციისაკენ.

და ბოლოს, ჩვენი უწყებისა და ჟურნალის მთელი სარედაქციო კოლეგიის სახელით, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ, მშვიდობას, ჯანმრთელობასა და წარმატებულ საქმიანობას. იმედია, 2013 წელი იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წელი ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

ი.მ. ღვინაძე





4



10



16



33

„კობი – ეს შოგაა“  
"COBY – IT'S CHRISTMAS"

4

საქპატენტი 20 წლისა – განვითარება  
გამოცდილებაზე დაყრდნობით

SAKPATENTI IS 20 YEARS OLD – DEVELOPMENT  
ON THE BASIS OF EXPERIENCE

10

უნიკალური ქართული სუფრა  
ჩურჩხელა, სულგუნი, კინძმარაული და ბორჯომი

UNIQUE GEORGIAN "SUPRA"  
CHURCHKHELA, SULGUNI, KINDZMARAULI AND BORJOMI

16

ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები  
დიზაინის შესახებ

FAQ – FREQUENTLY ASKED QUESTIONS  
ABOUT DESIGN

30

33

ამღერებელი ფიფქები  
SINGING SNOWFLAKES

38

ჩიჩილაკი – ნაძვის ხის ქართული  
კონკურენტი

CHICHILAKI – GEORGIAN COMPETITOR OF  
CHRISTMAS TREE

42

„ბაგრატონი 1882“ – ქართული  
მეფური ტრადიცია

"BAGRATONI 1882" – GEORGIAN  
ROYAL TRADITION

48

დაიჯესტი  
DIGEST

54

„ვინც არ უნდა იყო მანდ...“  
"WHOEVER YOU MIGHT BE..."



38



42



48



54



„კობი – ეს შობაა“  
“COBY – IT'S CHRISTMAS”

ელისო ჯარიშვილი  
ELISO JARIASHVILI



ეს ამბავი საახალწლო ზღაპარს ჰგავს. ისტორია ადამიანზე, რომელმაც ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორიდან ნიუ-იორკამდე გზა დამოუკიდებლად გაიკვალა. ეს გზა კი 10 წლის ასაკში სახლიდან გაქცევით დაიწყო. ჯორჯ კობის, იგივე გრიგოლ კობახიძის სახელს 70-მდე გამოგონება უკავშირდება. საქართველოში, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ამ გამოგონებებს შორის არის ნაძვის ხის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი – მინის ფერადი სანთლები. ამ უნიკალურ, ამერიკაში და-პატენტებულ იდეამდე ნაძვის ხეს ნამდვილი სანთლებით ანათებდნენ, რაც საახალწლოდ სახანძრო სამსახურებში გამოძახებების რიცხვს საგრძნობლად ზრდიდა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს რუსუდან დაუშვილს ქართველი ემიგრანტების მემკვიდრეობა ვიცნობ. ჯორჯ კობის ისტორია მან ზედმინევნით იცის. ბევრმა სწორედ მისგან გაიგო, რომ გასულ საუკუნეში ქართველებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰყავდათ ოფიციალური მილიონერი – მსოფლიოში სახელგანთქმული მინის მრეწველი ჯორჯ კობი, რომლის კომპანიის საქონელბრუნვამ 1929 წლისთვის 15 მილიონ დოლარს, ხოლო შემოსავალმა კი 4 მილიონს მიაღწია.

რაჭველი გლეხის დავით კობახიძის ოჯახში 1883 წელს დაბადებულ გრიგოლს წერა-კითხვა სოფლის მღვდელმა ასწავლა. 10 წლის ასაკში სახლიდან ძმასთან, ბორჯომში გაიპარა. მასზე უფროსი ლეონტი იმ დროს მინის ქარხანაში მუშაობდა. 4 წლის განმავლობაში ბორჯომში გრიგოლმა მინის წარმოებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ტექნოლოგია შეისწავლა და მეტიც, – შეიმუშავა პროდუქციის გაზრდის მეთოდი. გამოგონებებისადმი ინტერესი და მუდმივი შრომა იყო ის, რამაც ახალგაზრდა გრიგოლს ძალიან დიდი წარმატება მოუტანა.

This story is similar to a Christmas tale. This is a story of a man who independently paved his way from the village of Tkhmori, Ambrolauri district, to New York. This way began from running away from home at the age of 10. Up to 70 inventions are linked with the name of George Coby, same as Grigol Kobakhidze. Probably very few in Georgia are aware that among these inventions is one of the main attributes of the Christmas tree – glass coloured candles. Prior to this unique idea, patented in America, the Christmas tree was decorated by real candles, which significantly increased the number of calls at fire departments on New Year's Eve.

I know Rusudan Daushvili, doctor of historical sciences, as a chronicler of Georgian immigrants. She knows the story of George Coby thoroughly. Many people learned exactly from her that the Georgians had a official millionaire in the United States in last century – George Coby, world-renowned glass producer, whose turnover of goods by 1929 reached \$15 million, and revenues – 4 million.

Grigol Kobakhidze, born in 1883 in the family of David Kobakhidze, a farmer from Racha was taught to read and write by the village priest. At the age of 10 he ran away from home to Borjomi, to his brother. Leonti, who was older than him, worked at the glass factory at the time. During 4 years in Borjomi Grigol studied almost all technologies related to glass production and, furthermore, he developed a method to increase production. Interest in inventions and constant labour were the factors that brought Grigol a great success at a very young age.

Borjomi, Tbilisi, Odessa, Krasnodar – Grigol travelled in this way until he was 20. From 1903 Gigo began to work in Krasnodar province, Donbas industrial center



ბორჯომი, თბილისი, ოდესა, კრასნოდარი – ასე იმოგზაურა გრიგოლმა 20-წლამდე. 1903 წლიდან კი გიგო კრასნოდარის გუბერნიაში, დონბასის სამრეწველო ცენტრ კონსტანტინოვკაში, ფრანგი გამანის მინის დიდ ქარხანაში იწყებს მუშაობას. გამანის ყურადღება მისმა ათლეტურმა აღნაგობამაც მიიქცია და ჭიდაობის მწვრთნელთან მიიყვანა. მალე გრიგოლი გამანის ფალავნად იქცა, ფულადი ჯილდოები კი მისთვის შემოსავლის დამატებითი წყარო გახდა. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე დაშა ნოდვიკოვა.

1907 წლიდან საქმიანობას მიუნხენში განაგრძობს და, გერმანელ სპეციალისტთა დახმარებით, მინის პროდუქციის დამამზადებელ მცირე საწარმოს აარსებს. შემდეგ ინგლისში მიემგზავრება და 1908 წელს ლონდონში მინის ქარხანაში მუშაობს უბრალო მუშად, თუმცა მალევე დანიშნაურდება. დამატებითი შემოსავლის მოპოვებას იქაც ჭიდაობით ცდილობდა, გამოდიოდა ცირკშიც. წარმატებების ფონზე იყო წარუმატებლობაც, რის გამოც მეუღლესთან ერთად ამერიკაში გადასვლა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა.

მთავარი წარმატება ჯორჯ კობის ცხოვრებაში სწორედ ამერიკის შერეულ შტატებს უკავშირდება. იმ დროს გრიგოლი 26 წლის იყო. საქმიანობა დაიწყო ამერიკაში მცხოვრებ ქართველებთან ერთად, რომლებიც ძირითადად მეპურეობით ირჩენდნენ თავს. 9 წელი „General Electric“-ში ცოლთან ერთად მუშაობდა

Konstantinovka, at the big glass factory of Gaman, French entrepreneur. Gaman's attention was also attracted by his athletic body and took him to a wrestling coach. Soon Grigol became Gaman's wrestler, and monetary awards became a source of additional income for him. Here he met his future wife, Dasha Nodvikova.

From 1907 he continued his activity in Munich, with the assistance of German specialist he founded a small enterprise for glass production. Then he left for England. In 1908 he worked in London as a worker at a glass factory, but was soon promoted. Here too he tried to gain additional income by wrestling, he appeared in the circus as well. Along with success, he also suffered failures, due to which he had to move to America together with his wife and to start everything from the very beginning.

The main success in George Coby's life is linked exactly with the United States. Grigol was 26 years old at the time. He began a joint activity together with the Georgians living in America, who kept their families mainly by baking. He worked 9 years at *General Electric* with his wife, he was gathering money in order to begin his business. At that time the source of additional revenue was his inventions. He obtained several patents for automatic pens. He also started a small business. By trading in pens and other stationery he collected enough money to enable him to establish a large plant in 1919, in the state of Massachusetts, near Boston, city of Attleborough. In 1922 his







ჯორჯ კობი ავტორია გამოგონებების: „ავტომატური საწერი კალამი“, „სამედიცინო მიწის ამპულა“, „მიწის მოსართავეები ნაძვის ხისათვის“ და „ფერადი მიწის ელექტროსანათები“.

George Coby is the author of the inventions: automatic pen, medical glass ampoules, Christmas tree glass toys and coloured glass electric lights.



და საკუთარი საქმის დასაწყებად ფულს აგროვებდა. ამჯერად, დამატებითი შემოსავალი გამოგონებებს მოჰქონდა. რამდენიმე პატენტი მიიღო ავტომატურ საწერ-კალმებზე. მცირე ბიზნესიც წამოიწყო. კალმებითა და სხვა წვრილმანი საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობით იმდენი ფული დააგროვა, რომ 1919 წელს დიდი ქარხნის გამართვა შეძლო მასაჩუსეტის შტატში, ბოსტონთან, ქალაქ ეტლბოროში. 1922 წელს მისი წარმოება უკვე წარმატებული იყო. სულ მალე კობის „The Coby Glass Products Company“-მ ამერიკის აღმოსავლეთის შტატებში სახელიც გაითქვა და ნდობაც მოიპოვა. სამედიცინო, ქიმიური, ლაბორატორიული და სხვა 45 სახის ნაირგვარი ფორმის ნაწარმი, ზომა-წონის მაჩვენებლებით – პირველ სარეკლამო ფურცლებზე აღბეჭდილი ფორმის პროდუქციაა. კობის პროდუქცია ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. იმ დროს ის უკვე მილიონერი იყო.

მილიონერი გრიგოლ კობახიძე საქართველოში ჩამოვიდა ინვესტიციისთვის, მაგრამ ბოლშევიკებმა ამის უფლება არ მისცეს. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა თავის მშობლიურ სოფელში სკოლა, სამედიცინო პუნქტი და ეკლესია აეშენებინა. ეხმარებოდა ბევრს. დედას ბავშვობაში დაპირებული 10 000 მანეთის საჩუქრებიც ჩამოუტანა. საქართველოში ორჯერ დაბრუნების დროს შეძლო ბევრი კარგი საქმე გაეკეთებინა, თუმცა, თბილისიდან ძმისშვილის მიერ ჩამოტანილი შეტყობინების გამო, მას ქვეყნის დატოვება მოუხდა. გრიგოლ კობახიძეს დაჭერას უპირებდნენ.

ამერიკაში დაბრუნებულსაც პრობლემები და კრიზისი ელოდა. ცნობილი „დიდი დეპრესიის“ დროს მისი წარმოებაც გაკოტრდა. უკვე მერამდენედ, ცხოვრების თავიდან დაწყება მოუხდა. თავის სახლთან მოაწყო მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფაბრიკა და ბევრ რამეს თავისივე ხელით აკეთებდა. გაიხსენა საწერ-კალმებისა და საკანცელარიო ნივთების დამზადების ხელობა და კლიენტებიც გაიჩინა. მისი საწარმოს გაფართოებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა გიორგი მაჩაბელის შეკვეთამ – სუნამოსათვის „საქართველოს დედოფალი“ ფლაკონის (ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის) დამზადებამ. დღემდე, ეს ფლაკონი პარფიუმერული ნაწარმის ერთ-ერთ შედევრად ითვლება.

ჯორჯ კობის ბიზნესისთვის გადამწყვეტი მაინც 40-იანი წლები იყო. მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვის შემდეგ, მისმა კომპანიამ შეძლო ლიცენზიისა და 2 მილიონი დოლარის მოპოვება და საველე ჰოსპიტალებისა და რიგითი საავადმყოფოებისთვის აუცილებელი პროდუქციის დამზადება დაიწყო. მალე „The Coby Glass Products Company“ კვლავ მძლავრ საწარმოდ იქცა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ახალგამოგონებულ მინის ამპულაებზე ინექციებისთვის.

ნაომარმა ქვეყანამ კობის გამოგონებებსაც სხვა შინაარსი შესძინა. ქართველმა გამომგონებელმა ნაძვის ხის სათამაშოებზე მუშაობა დაიწყო. გამოგონება, რომელიც დააპატენტა და რომელიც დღემდე ცოცხლობს თითქმის ყველა ოჯახში, თავდაპირველად ასეთი იყო: მან შექმნა ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლები,



ჯორჯ კობი  
George Coby

production was already successful. Very soon his *Coby Glass Products Company* became renowned and gained confidence in the eastern states of America. Medical, chemical, laboratory, and other 45 kinds of products of diverse shapes, with size-weight indicators – this is the firm production reflected on the first advertising leaflets. Coby's production was considered to be one of the best. At this time he was already a millionaire.

Millionaire Grigol Kobakhidze arrived in Georgia to invest, but the Bolsheviks did not allow him to do so. Nevertheless, he managed to build in his native village a school, a medical center and a church. He rendered assistance to a lot of people. He also brought to his mother gifts of 10 000 rubles, which he had promised in childhood. During his two visits to Georgia he managed to do a lot of good, but due to the notification brought by his nephew from Tbilisi he was forced to leave the country. It was planned to arrest Grigol Kobakhidze.

Upon his return to America problems and crisis awaited him too. During the famous "Great Depression" his enterprise also became bankrupt. He had to start life anew alone again. Near his house he arranged a small factory for producing minor glass objects and he made many things by his own hands. He also recalled the craft of manufacturing pens and stationery, and soon his clients appeared. In the expansion of his production a crucial role was played by the order of Giorgi Machabeli – production of the bottle for perfume "The Queen of Georgia" (gold crown-shaped bottle with a cross). This bottle so far is regarded as one of the masterpieces of perfumes.

Still, the 1940s were of the crucial importance for the business of George Coby. After the involvement of the United States of America in World War II, his



ე.წ. „Babel Light“, რომელშიც, ელექტროქსელში ჩართვის შემდეგ, ფერადი ბუშტები იწყებდა მოძრაობას. მოგვიანებით, სანთლებს ფერადი მინისგან ამზადებდა და ქიმიური სითხეც საჭირო აღარ იყო. ამის შემდეგ კობი ფერადი მინისგან სხვადასხვა ფორმის სათამაშოებს ამზადებდა. ახალ პროდუქტს „ორნამენტი“ უწოდა. ქართულ დროშისფერ ყუთებში ჩაწყობილ სათამაშოებს ეწერა: „კობი. მინის საშობაო ნაძვის ხის მოსართავეები. კობი – ეს შობაა“.

საშობაო სანთლების გამოგონებისა და სათამაშოების დამზადების გარდა, ჯორჯ კობის დაპატენტებული აქვს მსხვერვადი ნივთების შესაფუთის შექმნის ნესიც. გამოგონება ეხება ყუთის მსხვერვადი მასალების ჩასაწყობად, როგორიცაა, მაგალითად, ნაძვის ხის სათამაშოები. სათამაშოები ყუთში განლაგებულია დაკიდებულ და ფიქსირებულ მდგომარეობაში იმისათვის, რომ არ მოხდეს მათი დამსხვრევა ტრანსპორტირებისას. ჩვეულებრივ, სათამაშოების ყუთი დაყოფილი იყო ტიხრებით ნაკვეთურებად ისე, რომ წარმოქმნილიყო ჯიბეები სათამაშოების ჩასაწყობად, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული არავითარი საშუალებები ამ ჯიბეებში სათამაშოების გადაადგილების თავიდან ასაცილებლად, ჩატვირთვის, ტრანსპორტირების თუ გადმოტვირთვის პროცესში.

ჩვეულებრივ, ყუთებში სათამაშოები გადაადგილებოდა ან ბრუნავდა, რაც იწვევდა ზედაპირებზე ნაკანრების წარმოქმნას. ამ გამოგონებით შექმნილი ყუთი არა მარტო იცავს სათამაშოებს დაზიანებისგან, არამედ, არჩევანის გაკეთებისას, საშუალებას აძლევს მყიდველს ბოლომდე შეაფასოს სათამაშოების ვიზუალური მხარე.

გრიგოლ კობახიძის სახელით ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო უწყებაში რამდენიმე განაცხადია შესული, მათ შორის ჯორჯ კობი ავტორია გამოგონებების: „ავტომატური სანერი კალამი“, „სამედიცინო მინის ამპულა“, „მინის მოსართავეები ნაძვის ხისათვის“ და „ფერადი მინის ელექტროსანთლები“.

კობი ქველმოქმედი იყო. ეხმარებოდა ევროპაში წასულ ქართველ ემიგრანტებს. თავად შვილი არ ჰყოლია. ბოლშევიკების გამო, იძულებული იყო ნათესავებთან ყველანაირი კონტაქტი გაენწყვიტა, ამერიკაში ვერც ძმისშვილის წაყვანა შეძლო, ამიტომ კომპანია იტალიელ ძმებს ჯიმ და ჯული პაგლისებს უანდერდა. გრიგოლ კობახიძე 1967 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„კობი – ეს შობაა“ – ასეთი წარწერით საახალწლო სათამაშოები ბევრი ამერიკელის სახლში ინახება. მათ შორისაა ორიგინალური ფორმის ნაძვის ხის კენწეროს მოსართავი შექმნილი ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძის) მიერ. კობის მინის ორნამენტები დღემდე იყიდება ინტერნეტმაღაზიაში და მათთვის, ვისაც აქვს სურვილი ნაძვის ხე კობის მიერ გამოგონილი მოსართავეებით მორთოს, ამისთვის საკმარისია მხოლოდ „ინტერნეტშოპინგი“ ([http://www.ebay.com/sch/sis.html?\\_kw=70+Vintage+COBY+HOLLY+Glass+Christmas+Tree+Ornaments](http://www.ebay.com/sch/sis.html?_kw=70+Vintage+COBY+HOLLY+Glass+Christmas+Tree+Ornaments)).

company was able to obtain a license and a \$ 2 million, and began manufacturing necessary products for field and ordinary hospitals. Soon his *Coby Glass Products Company* became a powerful production again. Newly invented glass ampoules for injections were especially in great demand.

The post-war country imparted the new contents to Coby's inventions as well. The Georgian inventor started to work on the Christmas tree toys. The idea, which he patented and which is still alive in almost every family, originally looked in this way: he created electric candles filled with chemical fluid, the so-called babel light, in which colored bubbles began moving after plugging in. Later on he made candles from coloured glass and chemical fluid was no longer needed. Afterwards Coby manufactured toys of diverse shapes from coloured glass. He called the new product "Ornament". The toys placed in boxes of the colour of the flag of Georgia bore an indication: "Coby. Glass Christmas tree ornaments. Coby – It's Christmas".

Along with manufacturing Christmas candles and toys, George Coby patented the method for making package for fragile items. The invention relates to a box for holding fragile materials, such as Christmas tree toys. Toys in the box are placed in hanged and fixed state in order to avoid crashing them while transporting. Usually, toy boxes were divided into partitions, so that to make pockets for holding toys, but no measures were taken to prevent movement of the toys in these pockets in the process of handling or transportation.

In ordinary boxes toys were moving or rotated, which led to the emergence of scratches on the surfaces. A box made according to this invention not only prevents toys from scratching, but also allows a buyer to fully evaluate the visual aspect of the toys at the time of selection.

In the name of Grigol Kobakhidze several applications were filed to the United States Patent Office. Among these, George Coby is the author of the inventions: automatic pen, medical glass ampoules, Christmas tree glass toys and coloured glass electric lights.

Coby was a philanthropist. He helped the Georgian immigrants who had left for Europe. He had no children. Due to the Bolsheviks he had to break off any contacts with his relatives, he was not able to take his nephew to America either. Therefore, he devised his company to Italian brothers Jim and Jules Puglisi. Grigol Kobakhidze died at the age of 84 in 1967.

Coby glass ornaments are still sold in internet shops, including the Christmas tree ornament of the original shape, created by George Coby – Grigol Kobakhidze. Christmas toys with the words "Coby – It's Christmas" are kept at the houses of many Americans, and for those who wish to decorate the Christmas tree with light bulbs invented by Coby only internet shopping is enough ([http://www.ebay.com/sch/sis.html?\\_kw=70+Vintage+COBY+HOLLY+Glass+Christmas+Tree+Ornaments](http://www.ebay.com/sch/sis.html?_kw=70+Vintage+COBY+HOLLY+Glass+Christmas+Tree+Ornaments)).





„კობი – ეს შობაა“ – ასეთი  
წარწერით საახალწლო სათა-  
მაშოები ბევრი ამერიკელის  
სახლში ინახება.

Christmas toys with the  
words "Coby – It's Christ-  
mas" are kept at the houses  
of many Americans.



# საქპატენტი 20 წლისაა – განვითარება გამოცდილებაზე დაყრდნობით

## SAKPATENTI IS 20 YEARS OLD – DEVELOPMENT ON THE BASIS OF EXPERIENCE

კეთევან ბოჯუა  
KETEVAN BOJGUA

საქართველოს ინტელექტუალური  
საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი



NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY  
CENTER OF GEORGIA  
SAKPATENTI

ევროპის მასშტაბით დაცული 18 დასახელების ქართული ღვინო; ფალსიფიცირებისა და სახელწოდების უკანონო გამოყენებისგან დაზღვეული ქართული მინერალური წყლები – „ბორჯომი“, „საირმე“ და „ნაბეღლავი“; განსაკუთრებული სტატუსი „სულგუნი“-სა და „ჩურჩხელა“-სათვის; უცხოელი მენარმის მიერ მითვისებას გადარჩენილი „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“; დეპონირებული ათასობით მუსიკალური თუ ლიტერატურული ნაწარმოები; საქართველოში დარეგისტრირებული წამყვანი ბრენდები; ათასობით დაპატენტებული გამოგონება; გამოგონებების კომერციალიზაციისთვის შექმნილი ცენტრი – ეს იმ შედეგთა მხოლოდ მცირე ნაწილია, რომლითაც ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი 2012 წელს აცილებს. საქპატენტი, რომლის ისტორიაც, ფაქტობრივად, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად იწყება და უკვე 20 წელს ითვლის, მომდევნო ათწლეულს კიდევ უფრო მასშტაბური გეგმებით ხვდება.

### ისტორია ისტორიის კვალდაკვალ

ყველაფერი 1992 წელს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო. ჩვენი ქვეყანა პირველი აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომელმაც ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საკანონმდებლო დონეზე გადამწყვიტა. საქართველომ სხვებზე ადრე შექმნა და აამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური, რომელიც მოგვიანებით ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრად გარდაიქმნა. პირველი პატენტი, რომელიც გაიცა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არის „ძებვეულის თერმული დამუშავების მოწყობილობა“, რომლის საგანაცხადო დოკუმენტები ქართულ და რუსულ ენებზე საქპატენტის არქივში დღემდე ინახება.

Appellations of origin of 18 Georgian wines protected in Europe; Borjomi, Sairme and Nabeghlavi, insured against counterfeiting and illegal use of the title; special status for *Sulguni* and *Churchkhela*; *Khvanchkara* and *Kindzmarauli*, rescued from misappropriation by a foreign entrepreneur; thousands of deposited musical and literary works; leading brands, registered in Georgia; thousands of patented inventions; a centre, created for the commercialization of inventions – this is only a small part of the results achieved by the National Intellectual Property Center by 2012. Sakpatenti, the history of which in fact begins together with the obtaining of independence of Georgia and which already celebrates its 20<sup>th</sup> anniversary, is meeting the next decade with even more ambitious plans.

### HISTORY IN FOOTSTEPS OF HISTORY

Everything began in 1992, a few months after the declaration of the independence of Georgia. Our country was the first of the post-Soviet republics, which decided to protect intellectual property at the legislative level. Earlier than others, Georgia created and launched a national patent service, which was later transformed into the National Intellectual Property Center. The first patent, issued in the history of independent Georgia, is “The apparatus for thermal treatment of sausages”, the application documents of which are still preserved in the archives of Sakpatenti in Georgian and Russian languages.

The pace of development of intellectual property protection followed the pace of the development of the country. The 1990s proved quite difficult for this field. As patent attorneys recall, the political situation in the country, destroyed infrastructure hampered the




ინტელექტუალური საკუთრების დაცვის განვითარების ტემპი ქვეყნის განვითარებას ემთხვეოდა. 90-იანი წლები ამ სფეროსთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. პატენტრწმუნებულები იხსენებენ, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, მოშლილი ინფრასტრუქტურა ხელს უშლიდა სფეროს განვითარებას, უცხოურ კომპანიებთან კონტაქტის დამყარებასა და თანამშრომლობას.

## ახალი ეტაპი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა განვითარების ახალ ეტაპზე მას შემდეგ გადავიდა, რაც საქართველომ „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე“ მუშაობა განსაკუთრებულ პრიორიტეტად გამოაცხადა. გარდა ევროკავშირთან მალალი სტანდარტებისა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ინოვაციის, განვითარებისა და ინვესტიციების აუცილებელ პირობად მიიჩნევს, ამ სფეროში განსახორციელებელი სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა ქვეყანაში ეკონომიკის ზრდამ, სხვადასხვა სფეროში მიღწეულმა წინსვლამ და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ გამოიწვია.

შესაბამისად, ბოლო პერიოდშიც, ამ სფეროში საკმაოდ ბევრი გამოწვევა იყო დასაძლევ. დაწყებული საქართველოს სახელმწიფო დროშის, ჰიმნისა და გერბის რეგისტრაციით, დასრულებული საზოგადოებაში



პირველი პატენტი, რომელიც გაცა და მოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არის „ძეხვეულის თერმული დამუშავების მოწყობილობა“.

The first patent, issued in the history of independent Georgia, is "The apparatus for thermal processing of sausages".

საკპატენტის თანამშრომლები 1992 წელს  
Employees of Sakpatenti in 1992



ფოტო: ირაკლი დიასამიძე  
Photo: Irakli Diasamidze



არსებული ინფორმაციის სიმწირითა და ცნობიერების ამაღლების აუცილებლობით. კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცოდა რას საქმიანობდა საქპატენტი, ქართული კომპანიების, ხელოვნების სფეროს მოღვაწეებისათუ გამომგონებლების უმეტესობას კი არ ესმოდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობა.

ბოლო პერიოდში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არა მხოლოდ საკანონმდებლო ბაზა და მოხდა მისი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, არამედ საზოგადოებაში უფრო ნათლად წარმოჩინდა ქვეყნის შიგნით ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობა.

### ეროვნული პროდუქციის დაცვა

ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტული გახდა ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა. საქპატენტში დაარსების დღიდან რეგისტრირებული იყო მხოლოდ ქართული ღვინის ადგილწარმოშობის 18 დასახელება. 2011 წელს კი საქპატენტმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების საფუძველზე, დაარეგისტრირა 3 მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელება (ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე) და, ასევე, სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მათ შორის ყველეულის 16 გეოგრაფიული აღნიშვნა.

2012 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა შეთანხმება „ევროკავშირისა და საქართველოს მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ“, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მხარემ ევროკავშირის ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებებთან ერთად, განსახილველად უკვე გადასცა ახლად რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების ჩამონათვალიც. აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირის ქვეყნებში ქართული ღვინისა და სხვა ადგილობრივი პროდუქციის დაცვის გარანტი ხდება.

საქპატენტის მიერ აშშ-ს საპატენტო უწყებაში სასერთიფიკაციო სასაქონლო ნიშნებად დარეგისტრირდა ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები. რეგისტრაციის პროცესში ქართული ღვინის დასახელებაზე „ხვანჭყარა“ საქპატენტს მოუწია დავის წარმოება ევგენი დოზორცევთან, რომელსაც 2004 წლიდან თავის სახელზე ჰქონდა რეგისტრირებული აღნიშნული დასახელება. ეს ის ბრძოლაა, რომელში გამარჯვებითაც უწყება განსაკუთრებით ამაყობს.

უფრო ქმედითი გახდა, ასევე, ქვეყნის შიგნით რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირთა რეესტრი.

development of the field, establishment of contacts and cooperation with foreign companies.

### A NEW STAGE

Intellectual property protection moved to a new stage of development after Georgia declared as a special priority the negotiations on the Deep and Comprehensive Free Trade Agreement between Georgia and the European Union. Along with the high standards of the European Community, which implies protection of intellectual property as a necessary condition for innovation, development and investment, the need for the implementation of the rapid changes in this field was caused by the economic growth in the country, achieved progress in various fields and introduced new technologies.

Accordingly, in the last period too, quite a lot of challenges were to be overcome, from the registration of the national flag, anthem and coat of arms, to scarcity of information in the public and the need for awareness rising. According to studies, many respondents were not aware of the activity of Sakpatenti, a great part of Georgian companies, artists and inventors did not understand the importance of protection of their intellectual property.

In the recent period not only the legislative basis has been further improved and brought closer to international standards, but also importance of intellectual property protection inside the country has been demonstrated more clearly.

### PROTECTION OF NATIONAL PRODUCTS

Protection of Georgian appellations of origin and geographical indications has become a priority for the country. From the establishment of the office, appellations of origin of 18 Georgian wines had been registered in Sakpatenti. In 2011 Sakpatenti, on the basis of the application of the Ministry of Agriculture of Georgia, registered appellations of origin of 3 mineral waters (*Borjomi*, *Nabeghlavi*, *Sairme*), geographical indications of other agricultural products, including 16 geographical indications of cheeses.

On April 1, 2012, the *Agreement between the European Union and Georgia on the Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs* entered into force, on the basis of which, the Georgian party has already handed over to the European Union for consideration the list of newly registered appellations of origin and geographical indications, along with appellations of origin of Georgian wines. The Agreement becomes a guarantee for the protection of Georgian wine and a variety of local products in the countries of the European Union.

Sakpatenti registered at the United States Patent



## თანამშრომლობა და იმიჯი საერთაშორისო დონეზე

2011 წელს, ისმოს 49-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში, საქართველო არჩეულ იქნა რეგიონული ჯგუფის კოორდინატორად. საქპატენტის მიერ კოორდინატორობის პერიოდში განეული მუშაობა უაღრესად დადებითად შეაფასა ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა ფრენსის გარიმ.

2010 წელს ხელი მოეწერა ევროპის საპატენტო უწყებასთან თანამშრომლობის პროგრამას, რომლის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები და სემინარები. 2010 წელსვე ხელი მოეწერა მემორანდუმს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან. საქპატენტმა გაიზიარა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების (აშშ, გერმანია, ისრაელი) გამოცდილება და, საქართველოში პირველად, შექმნა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის დეპარტამენტი.

## ახალი ტექნოლოგიები

საქპატენტის უშუალო კოორდინაციის შედეგად, დაფუძნდა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრი, რომელიც საქართველოში არსებულ ყველა წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ბიზნესსექტორს აერთიანებს. ცენტრი ხელს უწყობს და აკავშირებს გამომგონებელსა და ბიზნესსექტორს, შედეგი კი გამომგონებების კომერციალიზაცია და ბიზნესში დანერგვაა.

უკვე დაწყებულია მუშაობა განაცხადების ელექტრონულად წარდგენის სისტემის შესაქმნელად და, შესაბამისად, მომავალი წლის ბოლომდე განმცხადებლების ოფისში მოსვლის საჭიროება მინიმუმამდე იქნება

and Trademark Office appellations of origin of Georgian wines as certification trademarks. During the registration process Sakpatenti had to engage in the legal case with Evgeni Dozorcev, who in 2004 had registered this appellation in his own name. This is the case where Sakpatenti is particularly proud of winning.

The Register of persons entitled to use the appellations of origin registered inside the country has also become more effective.

## COOPERATION AND IMAGE AT THE INTERNATIONAL LEVEL

In 2011, in the framework of the Forty-Ninth Series of the Assemblies of the Member States of the World Intellectual Property Organization (WIPO), Georgia was elected as the Coordinator of the WIPO Regional Group. The activity of Sakpatenti in this period was evaluated very positively by Mr. Francis Gurry, Director General of WIPO.

In 2010, a Programme of Cooperation was signed with the European Patent Office, in the framework of which, trainings and seminars were realized. In the same year 2010 a Memorandum of Understanding was signed with Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ). Sakpatenti shared the experience of the leading countries of the world (USA, Germany, Israel) and a technology and innovation transfer department was established for the first time in Georgia.

საქპატენტმა საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში – მცხეთაში გადაინაცვლა.

Sakpatenti moved to the historical capital of Georgia, Mtskheta.





შემცირებული, როგორც ეს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაშია.

## ინტელექტუალური საკუთრების ახალი სივრცე

4 თვის წინ საქპატენტმა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ტრადიციულად თბილისის ცენტრალური უბნებიდან ახორციელებდა, საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში – მცხეთაში გადაინაცვლა. საქპატენტმა ლოკაციის შერჩევისას საერთაშორისო გამოცდილებაც გაითვალისწინა. ევროპისა და ამერიკის ინტელექტუალური საკუთრების დამცველი ორგანიზაციების დიდი ნაწილი დედაქალაქის გარეუბნებში ან მიმდებარე პატარა ქალაქებშია განთავსებული. პრაქტიკული მოსაზრებების გარდა, საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში გადასვლას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. ქალაქში, სადაც თითოეული ქვა ისტორიის მატარებელია, საქპატენტის ოფისი დღეს ყველაზე ახალი შენობაა. ეს პირდაპირ ეხმიანება ორგანიზაციის მიზანსა და მისი საქმიანობის კონცეფციას – დაიცვას საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ტრადიციული ინტელექტუალური სიმდიდრე და ხელი შეუწყოს სწრაფვას წინსვლისა და ინოვაციისკენ. ოფისში, რომელიც ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობს, განთავსებულია ინტელექტუალური საკუთრებისა და ღვინის მუზეუმი, რომელიც ქვეყნის ინტელექტუალური აქტივის წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთ სივრცეში აერთიანებს.

## საკპატენტის გუნდი

განვითარების სწრაფი ტემპისა და ცვლილებების მიუხედავად, ინტელექტუალური საკუთრების სადარაჯოზე თანამშრომელთა თითქმის უცვლელი შემადგენლობა დგას. ახალმა ხელმძღვანელობამ იმ გუნდის 70 პროცენტის შენარჩუნება შეძლო, რომელსაც ამ სფეროს განვითარება პირველი ნაბიჯებიდან ახსოვს. თუმცა, მეტი ობიექტურობისთვის ჩვენ შეფასება ისეთ სპეციალისტს ვთხოვეთ, რომელიც ამჟამად საქპატენტში აღარ მუშაობს. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი დავით ძამუკაშვილი, რომელიც დღეს პატენტრწმუნებულია განვლილი 20 წლის განმავლობაში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გადადგმულ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს ასახელებს: „მაგალითად, პატენტების სფეროში ხელახალი ექსპერტიზის პროცედურის შემოღება ძალზე კარგი მაგალითია, რომლის შედეგადაც სასამართლოში უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებული საპატენტო დავები ნაკლებად შევა. ასევე, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელისათვის ექსპერტიზის ახალი პროცედურის შემოღება, რომლის შედეგადაც კრიტერიუმის ზღვარზე ნაკლები საგამომგონებლო დონის გამოგონებაზე პატენტი არ გაცივმა. არ შეიძლება არ ვახსენოთ, საქონლის ადგილწარმოშობის სფეროში გააქტიურების შედეგად, პრაქტიკული პრობლემების მოგვარების მაგალითები ქართულ ღვინოებთან დაკავშირებით“, – ამბობს დავით ძამუკაშვილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განეული სამუშაოს

## NEW TECHNOLOGIES

As a result of direct coordination of Sakpatenti, the Technology Transfer Center of Georgia (TTCG) was founded, which unites all the leading higher education institutions existing in Georgia and the business sector. The center promotes and connects inventors and the business sector, and its result is the commercialization of inventions and introduction into business.

Work has already started on electronic filing and by the end of the next year the need of the applicants' visits to the Office will be reduced to minimum, as is in all developed countries of the world.

## A NEW AREA OF INTELLECTUAL PROPERTY

4 months ago Sakpatenti, which fulfilled the function of protection of intellectual property traditionally from the central districts of Tbilisi, moved to the historical capital of Georgia, Mtskheta. At the time of choosing the location Sakpatenti also took into consideration international experience. A great part of American and European intellectual property organizations are located close to the capital, in nearby small towns and suburbs. Along with the practical considerations, movement of the Office to the historical capital also has a symbolic meaning. In the city where every stone reminds history, the Sakpatenti office is the newest building at present. This directly echoes the purpose and concept of activity of the organization – to protect traditional intellectual wealth accumulated over the centuries and to promote the striving towards progress and innovation. At the office, equipped with ultra-modern technology, functions a museum of intellectual property and wine. This unites the past, present and future of the intellectual asset of the country in a single area.

## SAKPATENTI TEAM

Despite the rapid pace of development and modifications, the almost unchanged staff is in the service of intellectual property protection. Sakpatenti retained about 70 percent of the team which remembers the development of this field from the first steps. However, for more impartiality, we asked for evaluation a specialist, currently no longer working at Sakpatenti. One of the founders of Sakpatenti, Mr. David Dzamukashvili, who is a patent attorney at present, names the most important steps in the field of intellectual property over the past 20 years: "For example, introduction of re-examination in the field of patents is a very good example, as a result of which less patent disputes related to acquisition of rights will arise in court. Also, introduction of a new procedure for invention and utility model examination, as a result of which, a patent shall not be granted to an invention below the limit of the criterion of inventive step. One cannot help mentioning examples of solving practical problems in connection with Georgian wines as a result of active work in the field of appellations of origin of goods", – David Dzamukashvili notes. Evaluating the work done over the two decades, he says: "The circle of



შეფასებისას კი აცხადებს: „ადამიანთა იმ წრემ, რომელსაც დააწესა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის დაარსება და ამოქმედება საქმისადმი უდიდესი ერთგულებისა და ინტელექტუალური ძალისხმევის გაღების შედეგად, საქპატენტი ნამდვილ ეროვნულ ცენტრად აქცია. რთული ამოცანა იყო და ძალზე დიდი წარმატებაა პირველივე დღეებიდან საქპატენტის მიერ განაცხადებთან დაკავშირებული საქმისწარმოების გაძლოლა ქართულ ენაზე. ამავე მიზანს ემსახურებოდა ქართულ ენაზე გამოგონებების, სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინების სფეროში მოქმედი საერთაშორისო კლასიფიკატორების გამოცემა, რაც ქართული ტექნიკური და კომერციული ტერმინოლოგიის სრულყოფის ტოლფასია. ამგვარი წარმატებით ვერ დაიკვეხნის ჩვენი ქვეყნის დარი ქვეყნების აბსოლუტური უმეტესობა. მოკლედ რომ ითქვას, საქპატენტი მეცნიერებისა და ტექნიკის მაშინდელი მინისტრის ბატონ ირაკლი ჟორდანიას კაბინეტიდან გამოტანილი მხოლოდ ერთი საბეჭდო მანქანით აღჭურვილი, 9 კვადრატული მეტრის ფართობი მომუშავე ოციოდ, მოცემულ სფეროში გამოუცდელი, თანამშრომლით დაიწყო, სადღეისოდ კი ულტრათანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემით მოსარგებლე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გამოცდილი 100-ზე მეტი სპეციალისტით აგრძელებს საქმიანობას.“

## 20 წლის შემდეგ – უცვლელი მიზნებისკენ

დაარსებიდან 20 წლის იუბილზე საქპატენტი ამყობს იმით, რომ მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა და სამოქმედოდ იქნა მიღებული 30-მდე კანონი, კანონქვემდებარე აქტი და სხვადასხვა დონის სახელმძღვანელო დოკუმენტი. დღეისთვის საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებას. უკვე ხელმოწერილია ხელშეკრულება „საქართველოსა და ევროკავშირის შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთალიარების შესახებ.“ საქპატენტის მიერ გაცემულია 5612 პატენტი გამოგონებაზე და 1734 სასარგებლო მოდელზე, რეგისტრირებულია 507 დიზაინი, 47202 სასაქონლო ნიშანი, 795 ადგილწარმოშობის დასახელება და 16 გეოგრაფიული აღნიშვნა, 5620 ნაწარმოებზე კი გაცემულია დეპონირების მოწმობა.

და თუ 20 წლის წინ, ორგანიზაციის ისტორია საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიასთან ერთად დაიწყო, დღეს საქპატენტი განვითარების ახალ ეტაპზე ისევ ქვეყნის განვითარების კვალდაკვალ გადადის. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მასშტაბით არსებულ გამოწვევებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი 2013 წელსთან ერთად ჩვეული პროფესიონალიზმითა და ახალი ენერგიით ხვდება.



დავით ძამუკაშვილი – საქპატენტის ერთ-ერთი დამაარსებელი

Davit Dzamukashvili – one of the founders of Sakpatenti

people who bore the load of the establishment and launching of the National Intellectual Property Center, owing to great devotion to the work and intellectual effort, turned Sakpatenti into a real national centre. It was a very difficult task from the very first days to make application proceedings in the Georgian language and Sakpatenti managed it with a great success. Publication of the international classifications in the field of inventions, trademarks and designs in the Georgian language also served the same purpose, which is equal to perfection of Georgian technical and commercial terminology. An overwhelming majority of similar countries cannot boast of such success. In short, one might say that Sakpatenti, which began its activity with up to twenty staff members, inexperienced in the given field, working in a 9 square meter area, equipped with a single printing machine taken from the cabinet of the Minister of Science and Technology Mr. Irakli Zhordania, currently continues its functioning with more than 100 competent specialists, using an ultra modern information technology system”.

## 20 YEARS AFTER – TOWARDS THE UNCHANGED GOALS

At the 20<sup>th</sup> anniversary of its establishment, Sakpatenti is proud of the fact that with its direct involvement up to 30 laws, by-laws and guidelines of different levels were prepared and adopted. At present Georgia is signatory to all major conventions and agreements in the intellectual property protection field. The *Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs* is already signed. Sakpatenti granted 5612 patents for inventions, 1734 for utility models, registered 507 designs, 47202 trademarks, 795 appellations of origin and 16 geographical indications, certificates of deposition are issued for 5620 works.

And if 20 years ago, the history of the organization began together with the history of independence of Georgia, today Sakpatenti moves to a new stage of development again in footsteps of the development of the country. In 2013 the National Intellectual Property Center meets the challenges in the intellectual property field existing in Georgia as well as worldwide with its usual professionalism and new energy.



უნიკალური ქართული სუფრა  
ჩურჩხელა, სულგუნი, ქინძმარაული და ბორჯომი

UNIQUE GEORGIAN "SUPRA"  
CHURCHKHELA, SULGUNI, KINDZMARauli AND BORJOMI

სოფო კვინტრადე  
SOPHIE KVINTRADZE

ახალი წელი განსაკუთრებით გვიყვარს ქართველებს, ამ დღესასწაულისთვის საგანგებოდ ვემზადებით და ამ სამზადისში მთავარი ადგილი სუფრას უკავია. ყველა ოჯახს თავისი ტრადიციები აქვს, მაგრამ არსებობს რამდენიმე საერთო, რაც ქართული სუფრის განუყრელი ნაწილია ახალ წელს. დღეს ჩვენი ჟურნალი სწორედ იმ პროდუქტებს წარმოგიდგენთ, რომლებიც ტრადიციულია ქართულ საახალწლო სუფრაზე, ნამდვილად ქართულია და გვეამაყება.

### ჩურჩხელა

ჩურჩხელა ყველაზე საახალწლო პროდუქტია. ნუგბარი, რომელიც ყველას უყვარს, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ამზადებენ ბებოები და რომელიც ყველაზე მოთხოვნილი პროდუქტია ქართველ ემიგრანტებს შორის უცხოეთში. ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩურჩხელა უკვე გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და ის ონლაინ გაყიდვების ყველაზე პოპულარულ საიტზე „ამაზონზე“ იყიდება. ასე რომ, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების გარდა, მისი დაგემოვნება ნებისმიერი უცხოელისთვის არის ხელმისაწვდომი. ეს ქართული პროდუქტი, რომელსაც ანალოგი მსოფლიოში არ მოეძებნება, საქპატენტის მიერ 2011 წელს დარეგისტრირდა, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა. სამართლებრივი რეგულაცია მოწმობს იმას, რომ ჩურჩხელა „ნაციონალური ბრენდია“, ამიტომ პროდუქციის მაღალი ხარისხი და განსაკუთრებული თვისებები დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ.

New Year is the Georgians favorite holiday and it is usually preceded by special preparations in which Supra<sup>1</sup> holds a special place. Every family has its own traditions but there are some things that they all share as an important part of Supra at the New Year. These are the products featured in this article, products that are genuinely Georgian and what Georgians are proud of.

### CHURCHKHELA

Nothing says New Year more than Churchkhela, everyone's favorite candy produced in almost all regions of Georgia by grandmothers and the most demanded product among Georgian emigrants abroad. It is very exciting that Churchkhela has surpassed boundaries of Georgia and is sold on a popular online retailer Amazon, so that Georgians living abroad as well as foreigners are able to have it. Moreover, this unique Georgian product was registered with Sakpatenti in 2011 as a

<sup>1</sup> A traditional Georgian feast.





შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებში დეტალურადაა აღწერილი ჩურჩხელის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის მოპოვების გეოგრაფიული არეალი, მისი დამზადების ხერხი, საბოლოო პროდუქტის გემოვნური თუ ვიზუალური მახასიათებლები. ასე რომ, ჩურჩხელა დაცულია და ის მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნამდვილი, თუ საქართველოშია დამზადებული.

საქართველოში კი ჩურჩხელას უხსოვარი დროიდან ამზადებენ. გასაკვირი არცაა, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის ქვეყანაში ყურძნისგან ღვინის დამზადების პარალელურად, თათარასა და ჩურჩხელასაც ამზადებდნენ. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნით დათარიღებული სამარხების არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნია თიხის ფირფიტები, რომლებზეც ჩურჩხელის დამზადების სცენებია ასახული და თიხის სპეციალური ჭურჭელი, რომელშიც ძველი ქართველები ჩურჩხელას ინახავდნენ. როგორც ირკვევა, ჩურჩხელა ომში მიმავალი ქართველი მებრძოლებისთვის აუცილებელი საგზალი იყო, მას დღესაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მთიელ მწყემსთა კვების რაციონში. დიდი სამამულო ომის დროს კი ქართველები ჯარისკაცების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად და იმუნიტეტის გასაძლიერებლად ფრონტზე დიდი რაოდენობით ჩურჩხელებს და ბადაგისგან დამზადებულ ტკბილ კვებებს აგზავნიდნენ. ჩემი გურული დიდი ბებისგან მომისმენია, რომ ომიანობის დროს (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი), ახალ წელს ნაძვის

geographical indication. Legal regulation confirms that Churchkhela is a "national brand" and therefore, the state must observe high quality of the product and its special characteristics. The law of Georgia on Appellations of Origin and Geographical Indications provides detailed information about geographical scope for obtaining raw material for production of Churchkhela, its recipe, taste and visual characteristics of final product, i.e. Churchkhela is protected and is considered to be genuine if produced in Georgia.

Churchkhela has been produced in Georgia from ancient times. It is not surprising at all that in a country of viticulture and wine-making, production of Tatar and Churchkhela is common alongside with production of wine from grapes. According to historic sources, clay plates on which scenes from making of Churchkhela were inscribed have been found during excavations of burial grounds dated 2<sup>nd</sup> century BC, in addition to a special clay vessel where old Georgians were keeping Churchkheles. Turns out, Georgian warriors carried Churchkhela with them as a food supply and it still holds a special place in nutrition of shepherds from mountainous regions. During the Great Patriotic War, they used to send great supplies of Churchkhela and sweet pastry made from Badagi<sup>2</sup> to the front to help Georgian warriors boost their fighting efficiency and immunity. My great grandmother from Guria used to say that during warfare (i.e. the World War II), they used to hang Churchkheles instead of toys on Christmas

<sup>2</sup> Boiled or thickened grape juice.



ჩურჩხელა უკვე გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და ის ონლაინ გაყიდვების ყველაზე პოპულარულ საიტზე „ამაზონზე“ იყიდება. ქართული პროდუქტი, რომელსაც ანალოგი მსოფლიოში არ მოეძებნება, საქპატენტის მიერ 2011 წელს დარეგისტრირდა, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა.

Churchkhela has surpassed boundaries of Georgia and is sold on a popular online retailer Amazon.

This unique Georgian product was registered with Sakpatent in 2011 as a geographical indication.



ხეზე სათამაშოების ნაცვლადაც ჩურჩხელებს კიდებდნენ.

საქართველოში ჩურჩხელებს რამდენიმე კუთხეში განსხვავებული წესებით ამზადებენ, ძირითადად იმის მიხედვით, თუ რომელი ყურძნისგან არის მიღებული ჯადაგი და რა არის შიგთავსად გამოყენებული – ნიგოზი, თხილი, ჩირი თუ ნუშის გული.

კახური ჩურჩხელა გამორჩეულია თავისი გემოთი და კალორიულობით. ის, ძირითადად, რქანითელის ბადაგისგან დამზადებული თათართა და ნიგოზით კეთდება. კახელები თათარას მხოლოდ ხორბლის ფქვილისგან ამზადებენ, კახური ჩურჩხელები მსხვილია და სიგრძეში 25-35 სანტიმეტრია.

კახური ჩურჩხელისაგან საკმაოდ განსხვავებულია გურული, რომელსაც სახელიც სხვა შეარქვეს გურულებმა. ჯანჯუხა უფრო გრძელი, თხელი და, რაც მთავარია, თხილისგანაა დამზადებული. გურულების ფელამუში სიმინდის ფქვილისგან მზადდება, ხოლო ბადაგი იმ ყურძნის ჯიშებისგან, რაც გურიაშია გავრცელებული, ეს შეიძლება იყოს ცოლიკაური, ადესა, იზაბელა ან სხვა.

გურული ჩურჩხელის მსგავსია იმერულიც, ზოგადად დასავლეთში დამზადებული ჩურჩხელა ნაკლებად ტკბილია და მომჟავო გემო დასდევს.

რაჭა-ლეჩხუმური ჩურჩხელა მზადდება ალექსანდროულის, უსახელოურისა ან ოჯალემის ჯიშის ყურძნის

tree instead.

There are several different recipes for production of Churchkhelas in Georgia, mostly depending on the variety of grapes that Badagi has been produced from as well as contents – whether its nuts, walnuts, dried fruit or almonds.

Kakhetian Churchkhela has a distinct flavor and high caloric value. It is mostly produced from Badagi made from Rkatsiteli and walnuts. Kakhetians produce Tatar<sup>3</sup> made solely from wheat flour and walnuts. Kakhetian Churchkhela is 25-35cm thick.

Churchkhela produced in Guria is quite different from the one produced in Kakheti. It also has a different name – Janjukha, which is longer, thinner and most importantly, produced from nuts. Dwellers of Guria produce Pelamushi<sup>4</sup> from corn flour, while Badagi is produced from varieties of grapes common in Guria, including Tsoikauri, Adesa, Izabela and the other.

Churchkhela produced in Imereti is similar to the one produced in Guria. In general, Churchkhela produced in western Georgia is not as sweet and tastes a little sour.

In Racha-Lechumi Churchkhela is produced from grape juice of Alexandrouli, Usakhelouri or Ojaleshi

<sup>3</sup> Grape juice thickened by adding wheat flour.

<sup>4</sup> Grape juice thickened by adding corn flour.





წვენიდან და გარეგნულად ძალიან ჰგავს იმერულს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამზადებული ჩურჩხელა განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ზომით და ფორმით, ასევე გემოვნური თვისებებით, მაგრამ ყველა მათგანი არომატული და გემრიელია და, რაც ასევე აღსანიშნავია, სასარგებლოც.

ჩურჩხელა რომ გემრიელია, ეს ყველამ ვიცით, ამიტომ ახლა ყურადღებას მის სასარგებლო თვისებებზე გავამახვილებ. დავინწყით იმით, რომ ჩურჩხელა კალორიული პროდუქტია, ამიტომ მისი ენერგეტიკული ღირებულება მაღალია. კალორიულობით განსაკუთრებით კახური ჩურჩხელა გამოირჩევა. ჩურჩხელა დიდი რაოდენობით შეიცავს გლუკოზას და ფრუქტოზას – ნახშირწყლებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია და, ამავე დროს, ადვილად ასათვისებელია. ჩურჩხელა ანტიდეპრესანტიცაა, რადგან კარგად ნახარში ყურძნის წვენი ანტიოქსიდანტებს შეიცავს, რომლებიც ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოდევნას უწყობენ ხელს. ჩურჩხელა, ასევე, შეიცავს ისეთ სასარგებლო ნივთიერებებს, როგორიცაა კალიუმი, რკინა, ფოსფორი, მაგნიუმი. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს გემრიელი ქართული პროდუქტი ორგანიზმის ჯანმრთელობას უწყობს ხელს.

რაც შეეხება ჩურჩხელის მომზადების რეცეპტს, ის ძირითადად უცვლელია და საუკუნეების განმავლობაში დიდი ევოლუცია არ განუცდია. მთავარ ინგრედიენტებად კვლავ რჩება ბადაგი და ნიგოზი ან თხილი. თუ გადაწყვეტთ, რომ თავად მოამზადოთ ჩურჩხელა სახლში, პირველ რიგში გასუფთავებული ნიგოზის ლებნები ან გათეთრებული და მოხალული თხილი ძაფზე უნდა ააგოთ. ყურძნის წვენი დიდხანს უნდა ადუღოთ. გაცივების შემდეგ კი ბადაგი რამდენიმეჯერ განურეთ, შემდეგ კი მასში ხორბლის თეთრი, წმინდად გაცრილი ფქვილი შეურიეთ (ან სიმინდის ფქვილი ჯანჯუხას შემთხვევაში). თავიდან ფქვილი ნელ-თბილ ბადაგში უნდა ჩაყაროთ და იქამდე ურიოთ, სანამ კარგად არ გაიხსნება. ამის შემდეგ თათარა ცეცხლზე შემოდგით და კვლავ განაგრძეთ მორევა. უკვე მოდულებული თათარა ერთგვაროვანი და პრიალაა, მას ფქვილის გემო დაკარგული აქვს, ამის შემდეგ ჭურჭელი ცეცხლიდან გადმოდგით და თათარაში ძაფზე აცმული ნიგოზი ან თხილი ამოავლეთ. თუ გინდათ, რომ ჩურჩხელა სქელი გამოვიდეს, ორჯერ ამოავლეთ თათარაში, გასაშრობად ჩურჩხელები ხარიხაზე ჩამოკიდეთ, დაახლოებით ერთ კვირაში ისინი უკვე მზად იქნება, თუმცა, ჩურჩხელას დაძველებაც ძალიან უხდება, შეახვიეთ ის სუფთა ტილოში და გრილ და მშრალ ადგილას შეინახეთ,



and is quite similar in appearance to the one produced in Imereti.

Different parts of Georgia produce Churchkhelas that differ in size, shape and flavor; however, all of them are delicious with intense flavor health benefits.

Everyone is aware how tasty Churchkhela is and therefore, we'd like to now focus on its health benefits. It has high calorific value and subsequently, high energy especially Churchkhelas produced in Kakheti. It contains great amounts of glucose, fructose – carbohydrates necessary for human body and easy to process. It is a great anti-depressant as boiled grape juice is high in antioxidants that protect the body against the harmful effects of free radicals. It also contains useful substances including potassium, iron, phosphorus, magnesium. To put it shortly, the tasty Georgian candy has great health benefits.

As to the recipe of Churchkhela, it has not undergone much changes and evolution throughout centuries. Key ingredients still include Badagi and walnuts or nuts. For a home-made Churchkhela you will first need walnuts or roasted nuts on a string. Grape juice must be boiled for a long time and cooled down and filtered couple of times and later mixed with sifted white wheat flour (or corn flour for making Janjukha). First you need to mix flour with warm Badagi and mix it until it dissolves well. Afterwards, you need to continue boiling Tatara, stirring it well. Boiled Tatara looks uniform and glossy, without any taste of flour. After you finish boiling, you may start dipping walnuts or nuts on a string. If you prefer a thick Churchkhela, you must dip it two times. Dipped strings must be hung to dry for about a week and then they are ready. The older Churchkhelas, the better they taste. Therefore, you may wrap it in a clean towel and keep it in a dry and cool place. It will be covered with white



ჩურჩხელა თეთრად დაიფიფქება და კიდევ უფრო განსაკუთრებულ არომატს შეიძენს.

## ბორჯომი

მინერალური წყალი „ბორჯომი“ წლის ნებისმიერ დღეს, მათ შორის ახალი წლის პირველ დილას განსაკუთრებით ფასობს. თადარიგები ბორჯომს წინა დღეებში იმარაგებენ და ამ მინერალურ წყალს თავისი მყარი ადგილი ყოველთვის აქვს ქართულ სუფრაზე. საქართველოში ბორჯომის სმის ტრადიციას ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მისი საწარმოო სახით ჩამოსხმა 1890 წლიდან დაიწყო, საინტერესოა, რომ ბორჯომი თავიდანვე გასცდა საქართველოს ფარგლებს. მეფის რუსეთის დროს მთელ იმპერიაში გადიოდა და პოპულარობით სარგებლობდა.

ქართველებისთვის ბორჯომი უფრო მეტია, ვიდრე უბალოდ სამელი წყალი. ვულკანური წარმოშობის მინერალური წყალი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ქართული ბრენდია უცხოეთში, რომ არაფერი ვთქვათ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე. გასული საუკუნის 80-ან წლებში საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად 400 მილიონი

ბორჯომის მინერალური წყალი ბორჯომის ნაკრძალში მდებარე ჭაბურღილებიდან მოიპოვება, რომელთა სიღრმე 1100 დან 1500 მეტრამდე მერყეობს.

Borjomi is produced from 9 holes located on the territory of Borjomi reserved area. The holes' depth comes up from 1100 to 1500 meters.

dust in time and will acquire greater aroma.

## BORJOMI

Mineral water "Borjomi" is valuable throughout the year and particularly so, at New Year's morning. Some usually stock up on Borjomi several days in advance. Borjomi always has its own distinct place on Georgian Supra.

The tradition of drinking Borjomi is more than hundred years old in Georgia. They started bottling it in factory in 1980 and it became an instant hit even outside Georgia. During Tsarist Russia, Borjomi was exported throughout the empire and was highly popular.

To Georgians Borjomi is more than just water. The mineral water of volcanic origin is one of the most recognizable Georgian brands abroad, particularly in Post-Soviet countries. In the 80s total of 400 million bottles of Borjomi were sold annually in Soviet countries. As of today, the gift of nature to people is consumed in 40 countries throughout the world.

## HISTORY

Sources confirm that the history of Borjomi is more than 2000 years old. During archeological excavations in Borjomi Ravine, there were several pools and bath houses found made of stone and wood. Some scientists presumed that in ancient times Borjomi was used for





ბოთლი ბორჯომი იყიდებოდა, დღეისათვის ბუნების ამ ნამდვილ საჩუქარს მსოფლიოს 40 ქვეყანაში იცნობენ.

## ისტორია

წყაროების თანახმად, ბორჯომის ისტორია თითქმის 2000 წელს ითვლის. ბორჯომის ხეობაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ქვისა და ხისგან გაკეთებული რამდენიმე აუზი და აბანო აღმოაჩინეს. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ძველ დროში ბორჯომს მხოლოდ აბაზანებისთვის იყენებდნენ. დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი კი წერდა, რომ უძველეს დროში მინერალური წყალი, თავისი უნიკალური თვისებების გამო, სასმელადაც გამოიყენებოდა.

ბორჯომის ხეობაში მინერალური წყლის ხელახალი აღმოჩენა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში, რუსეთის იმპერიის სამხედრო მოსამსახურეებს უკავშირდება.

ეს ამბავი 1825 წელს მოხდა, როდესაც ხერსონის გრენადერთა პოლკი ბორჯომში განთავსდა. ჯარისკაცებმა მინიდან ამომავალი თბილი წყარო აღმოაჩინეს და მას გემო გაუსინჯეს, წყალი პოლკოვნიკ პოპოვსაც მიუტანეს, რომელსაც თურმე კუჭი ანუხებდა. პოლკოვნიკს იმდენად მოუხდა ბორჯომის წყალი, რომ წყარო ქვებით შემოაღობინა და ბრძანა, მის ახლოს ქოხი აეშენებინათ. მინერალური წყლის საოცარ თვისებებზე ფართოდ გავრცელდა ინფორმაცია. 1834 წელს სამხედრო ექიმმა ამიროვმა ბორჯომი გამოიკვლია და პირველმა აღწერა მისი სამკურნალო თვისებები. მან წყლის სინჯები სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში გაგზავნა. ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი საოცრების ამბავმა კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ-გუბერნატორ ევგენი გოლოვინის ყურამდეც მიაღწია. მან ბორჯომში სამკურნალოდ თავისი ქალიშვილი გამოგზავნა, ის დაავადებისგან განიკურნა და მის საპატივცემულოდ მინერალური წყლის პირველ წყაროს „ეკატერინსკი“ უწოდეს.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ბორჯომის მინერალურმა წყლებმა ფართოდ გაითქვა სახელი რუსეთის იმპერიაში. ქალაქი ბორჯომი კი თანდათან სამთო-ბალნეოლოგიურ კურორტად ჩამოყალიბდა. აშენდა ახალი სასახლეები, პარკები, ბაღები, ხიდები და სასტუმროები. სულ მალე ბორჯომი რომანოვების სამეფო დინასტიის საზაფხულო რეზიდენცია გახდა.

1890 წლიდან ბორჯომის მინერალური წყლის სანარმოო ჩამოსხმა დაიწყო. რამდენიმე წელიწადში შესაძლებელი გახდა მისი ნაწილობრივი მექანიზაცია, „ბორჯომის“ ბოთლები ვაგონებით გაჰყონდათ მთელს იმპერიაში, წყაროების თანახმად, 1913 წელს 9 მილიონი ბოთლი იქნა გატანილი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომანოვები სტალინმა შეცვალა. ბორჯომის პოპულარობა კი უფრო



bathes. According to a great Georgian scientist Ivane Javakhishvili, mineral waters due to their unique characteristics were also consumed as drinking water in ancient times.

Military servicemen of the Russian Empire played an important role in rediscovering the mineral water in Borjomi Ravine and promoting its importance in contemporary medical practice.

In particular, in 1825 Kherson Grenadier Regiment was dislocated in Borjomi. Soldiers discovered warm water flowing from the ground and tasted it. They shared it with Colonel Popov who was suffering from stomach problems at that time. The colonel liked Borjomi water so much that he had the place fenced with stones and ordered to build a cabin nearby. News about amazing characteristics of the water traveled fast. In 1834 military doctor Amirov examined Borjomi and described its health benefits for the first time. He sent samples of the water to St. Petersburg and Moscow. Viceroy of the Russian Tsar in the Caucasus, General Governor Yevgeni Golovin heard about the amazing water discovered in Borjomi Ravine and he brought his sick daughter to the springs for treatment. She was treated and the first spring of mineral water was named Yekaterinsky in her honor.





მასშტაბური გახდა. კრემლში არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა ბორჯომის გარეშე. 1960-იანი წლებიდან კი ბორჯომის გაყიდვა საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც დაიწყო. თავიდან ის 15 ქვეყანაში გაჰქონდათ, მათ შორის აშშ-ში, საფრანგეთსა და ავსტრიაში. 1980-იან წლებში ბორჯომის რეალიზაციამ 400 მილიონ ბოთლს გადააჭარბა. ბორჯომი ყველაზე პოპულარული მინერალური წყალი იყო მთელ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაუარესებულმა ეკონომიკურმა სიტუაციამ ბორჯომის წარმოებაც დააზარალა. 1995 წელს შეიქმნა „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“, რომელმაც „ბორჯომის“ წარმოება განაახლა. დღეისათვის „ბორჯომის“ ექსპორტი მსოფლიოს 40 ქვეყანაში ხორციელდება, წარმოებული პროდუქციიდან ყოველწლიურად 70% გადის ექსპორტზე, ხოლო საქართველოში 30% რჩება, „IDS ბორჯომი საქართველოს“ მიერ წარმოებული პროდუქციის საერთო წილი მინერალური წყლის ბაზარზე საქართველოში შეადგენს 47%-ს.

ასწლიანი ისტორიის მანძილზე მინერალური წყლის ბოთლი ბევრჯერ შეიცვალა. საბჭოთა პერიოდში მიაგნეს მის დღემდე ცნობად ფორმას და განსაზღვრეს ბორჯომის ბოთლის მახასიათებელი, რომელიც თავიდან ბოლომდე აისახა 2010 წლის ნოემბერში გამოშვებულ ახალი დიზაინის მქონე ბოთლში. მოცისფრო-მომწვანო მინა ან პლასტიკი, მასზე გამოსახული ირმის გრაფიურა და მსოფლიოში ცნობილი საფირმო ეტიკეტი ბორჯომის განუყოფელი ატრიბუტებია.

In the 1940s Borjomi mineral waters became widely famous in the Russian Empire. The city of Borjomi was gradually turned into a balneology health resort; houses, parks, gardens, bridges and hotels were built. Soon Borjomi became a spring residence of the Romanov Royal Dynasty.

Production of Borjomi mineral water started in 1890s and its partial mechanization was made possible in several years. Carriages filled with bottles of Borjomi were exported throughout the empire. Historic sources confirm that total of 9 million bottles were exported in 1913.

After Sovietization of Georgia, Stalin took place of the Romanovs. Borjomi became even more popular. It was an integral part of events held in Kremlin. Starting from the 1960s Borjomi was exported outside the Soviet Union as well. First it was exported to 15 countries, including the USA, France and Austria. In the 1980s sales of Borjomi surpassed 400 million bottles. Borjomi was the most popular mineral water throughout the Soviet Union.

Following the Soviet Union, deterioration of economic situation had an adverse impact on production of Borjomi as well. Production of Borjomi renewed in 1995 when *Georgian Glass and Mineral Waters Company* was established. As of today, Borjomi is exported to 40 countries throughout the world, accounting for 70% of products produced annually; remaining 30% is sold in Georgia. IDS Borjomi Georgia accounts for 47% of production of mineral water in Georgia.



## ვულკანური წარმოშობა და სასარგებლო თვისებები

ბორჯომი ვულკანური წარმოშობის მინერალური წყალია, რომლის „ასაკიც“ ათასწლეულებს ითვლის. ის ნახშირორჟანგა გაზის დახმარებით მინის ზედაპირზე ამოდის. ბორჯომი მინის ქვეშ გაგრილებას ვერ ასწრებს, ამიტომ ზედაპირზე თბილი სახით ამოდის ( $37-41^{\circ}\text{C}$ ), გზად კი კავკასიის მთების ქანებში არსებული 60 სხვადასხვა მინერალის კომპოზიციით მდიდრდება.

მინერალური წყალი სათავეს კავკასიის მთებში, აჭარა-იმერეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში იღებს, ზღვის დონიდან 850-2500 მეტრის სიმაღლეზე. ბორჯომის მინერალური წყალი ბორჯომის ნაკრძალში მდებარე ჭაბურღილებიდან მოიპოვება, რომელთა სიღრმე 1100-1500 მეტრამდე მერყეობს.

170 წელზე მეტია, რაც ბორჯომის საბადო გეოლოგებისა და ქიმიკოსების მუდმივი დაკვირვების საგანია. მათი კვლევები ადასტურებენ მინერალური წყლის ტემპერატურის, ფიზიკური და ქიმიური თვისებებისა და მისი მინერალური შემადგენლობის უცვლელობას. დღეს ბორჯომის შემადგენლობა ზუსტად ისეთია, როგორიც იყო მისი აღმოჩენის დროს.

საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო კომიტეტმა 2006 წელს 2006-2031 წლების პერიოდისთვის მინერალური წყლის მოპოვების მოცულობა განსაზღვრა და დაამტკიცა. ეს დადგენილება დღე-ღამეში 561 000 ლიტრის ოდენობით მინერალური წყლის მოპოვების უფლებას იძლევა, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს დღე-ღამეში 1 მილიონი ბოთლი პროდუქცია აწარმოოს.

ჭაბურღილიდან მიღებული მინერალური წყალი 25 კილომეტრიანი მილსადენის მეშვეობით ჩამომსხმელ ქარხანას მიეწოდება, სადაც ხდება ბორჯომის გაციება, მისი ბუნებრივი ნახშირორჟანგა გაზით გამდიდრება და ბოთლებში ჩამოსხმა. ბორჯომში ორი ჩამომსხმელი ქარხანა მუშაობს, პირველი ბორჯომის მინის ბოთლებში, მეორე კი – პოლიეთილენის ბოთლებში ჩამოსხმაზეა სპეციალიზებული. ქარხნები სრულად არის გადაიარაღებული და თანამედროვე უახლესი დანადგარებითაა აღჭურვილი. 2011 წლიდან ქარხანა საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების შეფასების ყველაზე თანამედროვე სისტემის ISO 22000-ის სერტიფიკატის მფლობელია.

Throughout its history of hundred years, bottle of Borjomi was redesigned a number of times. Its recognizable shape was found and characteristics of Borjomi bottle were determined during the Soviet times, completely reflected by the new bottle produced in November 2010 – bluish-greenish glass or plastic with an engraving of a deer on it and the label famous throughout the world are inseparable parts of Borjomi.

## VOLCANIC ORIGINS AND HEALTH BENEFITS

Borjomi is mineral water of volcanic origin and by natural criteria counts more than 1500 years. Pushed out by the natural carbonic gas it comes on the earth's surface from depth.

Unlikely to other sodium bicarbonate types of water Borjomi doesn't get cool underground and comes out being warm ( $37-41^{\circ}\text{C}$ ). On its way water is enriched with 60 different minerals, contained in The Caucasian mountains solids.

Borjomi mineral water occurrence is situated in the central part of Adzhar-Imeretin chain of the Caucasian mountains at absolute height of 760-920 meters above sea level. Borjomi is produced from 9 holes located on the territory of Borjomi reserved area. The holes' depth comes up from 1100 to 1500 meters.

Already more than 170 years Borjomi mineral springs are thoroughly examined by geologists and chemists, who approve firmness of temperature, water physical and chemical properties, and its mineral composition. The chemical and microbiological analyses of the water are held on hourly basis at the factory according to the strict European standards.

In 2006 The State Committee on Georgia mineral deposits reserves approved production volume of 561000 liters per day for the period of 2006-2031, allowing to produce more than a million bottles of the mineral water per day.

The mineral water received from the holes is passed through 25-kilometer pipeline, built with high quality stainless steel, to the bottling factories. There water is settled, cooled, filled with nature carbon dioxide, bottled and afterwards labeled. There are two bottling factories operating in Borjomi city. One specializes in bottling of Borjomi in glass containers, the other in plastic containers. The factories are completely reequipped and modernized. Since 2011 the factory is the holder of ISO 22000 certificate for the quality and safety of the foodstuffs.



## სულგუნი

მრავალფეროვნებით გამორჩეული და უნიკალური კვებითი ღირებულებების მატარებელი ქართული ყველი ერთ-ერთი უძველესი პროდუქტია მსოფლიო კვების მრეწველობაში.

საქართველოში უძველესი დროიდან მოიხმარდნენ ძროხის, თხის, ცხვრისა და კამეჩის რძეს, თუმცა, რძის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მაინც ძროხის რძეს ეჭირა. ყველი, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული რძის პროდუქტი, გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. არსებობდა და დღემდეა შემორჩენილი ყველის დამზადების და შენახვის ბევრი განსხვავებული მეთოდი. ქართული ყველის ნაირსახეობებია ე.წ. ლავაში, მესხური ჩეჩილი, აჭარული ჩლეჩილი, გორჯოლო, მოშუშული ყველი, ჩუმი ყველი, კობი, გუდა, ლუკმა ყველი, ტენილი, სულგუნის ნაირსახეობები, ოსური ყველი, დომხალი, ჩოგი და სხვა.

„საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ კანონის შესაბამისად,

ხალხში გავრცელებული გადმოცემების თანახმად სახელი სულგუნი ორ ქართულ სიტყვასთან „სულთან“ და „გულთან“ არის დაკავშირებული.

According to the popular legend the name Sulguni has been derived from two Georgian words – Suli (soul) and Guli (heart).

## SULGUNI

Georgia cheese distinct with its variety and unique nutrient values is one of the oldest products in world food industry.

Cow, goat, sheep and buffalo milk have been used in Georgia from ancient times. However, cow milk has always been holding a leading place in dairy production. Cheese as one of the distinct dairy products was widespread throughout Georgia. There have been many different methods for production and preservation of cheese that have reached us today. Varieties of Georgian cheese include Lavashi, Meskhuri Checili, Ajarian Checili, Gorjolo, stewed cheese, Chumi Cheese, Kobi, Guda, Lukma Cheese, Tenili, different varieties of Sulguni, Ossetian Cheese, Domkhali, Chogi and the others.

Under the Law of Georgia on Appellations of Origin and Geographical Indications, Sakpatenti registered geographical indications in 2011, including several varieties of cheese: Chogi, Tenili, Ajarian Checili, Meskhian Checili, Megrelian Sulguni, Sulguni, Kobi, Guda, Tushetian Guda.

The law stipulates that geographical indication is the name or any other sign, which indicates a geographical area and is used to designate the goods originating in that geographical area; specific quality, reputation, or other characteristics of which are attributable to that geographical area.







ფოტო: ირაკლი კაცაძე

Photo: Irakli Katsadze

საქპატენტმა 2012 წელს რეგისტრაციაში გაატარა ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები, მათ შორის რამდენიმე ქართული ყველის სახეობა: ჩოგი, ტენილი, აჭარული ჩლეჩილი, მესხური ჩეჩილი, სულგუნი, მეგრული სულგუნი, სვანური სულგუნი, კობი, გუდა, თუშური გუდა, იმერული ყველი, ქართული ყველი და დამბალხაჭო.

კანონის თანახმად, გეოგრაფიული აღნიშვნა არის გეოგრაფიული ადგილის სახელი, გამონაკლის შემთხვევებში, სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე და გამოიყენება იმ საქონლის მოსაწინააღმდეგო, რომლის განსაზღვრული თვისებები ან რეპუტაცია ამ გეოგრაფიულ ადგილთან არის დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია აქ არსებული ბუნებრივი პირობებით და ადამიანის ფაქტორით.

წარმოშობის ადგილი შეიძლება იყოს ქვეყნის ადგილი – სოფელი, ქალაქი, რეგიონი და თავად ქვეყანაც. გეოგრაფიული აღნიშვნის დანიშნულებაა, მომხმარებელს მიანოდოს ინფორმაცია პროდუქტის წარმომავლობასა და იმ მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობის ადგილთან.

ასე რომ, ქართული წარმოშობის ყველის სახეობები კანონის ძალითაა დაცული, მარტივად რომ ვთქვათ, სულგუნი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნამდვილი, თუ ის დამზადებულია საქართველოში შესაბამისი ტექნოლოგიების დაცვითა და შესაბამისი ნედლეულით.

Appellations of origin can be a place in the country – a village, a city, a region or the country itself. Purpose of geographical indication is to provide consumers with information about origins of product and its characteristics related to the place of its origin.

Thus, cheese varieties that originate from Georgia are protected by law. To put it simply, Sulguni is genuine only if it is produced in Georgia, pursuant to relevant technologies and with corresponding raw material.

Sulguni, a distinctively delicious product, is a jewel of Megrelian cuisine. It is popular throughout Georgia and is considered to be a real treasure of Georgian Supra. It is mostly made from cow milk but can also be made with buffalo or goat milk.

According to the popular legend the name Sulguni has been derived from two Georgian words – Suli (soul) and Guli (heart). This is how Sulguni is produced in Samegrelo: fresh Imeruli cheese is cut into long pieces and placed in milk, boiled and kneaded for a long time. Later it is put on a special net for any excess fluid to drip down, kneaded again, given a round shape, salted from both sides and kept for two days, which makes Sulguni even more delicious and intensifies its flavor. Shelf life of Sulguni prepared according to this method is not too long; however, it can be dried and steamed. Steamed Sulguni has a completely different taste and can be kept for several months.



მეგრული სამზარეულოს ნამდვილი მშვენიერება და გამორჩეულად გემრიელი პროდუქტია სულგუნი, მთელს საქართველოშია პოპულარული და ქართული სუფრის ნამდვილ საგანძურად ითვლება. მას ძირითადად ძროხის რძისგან ამზადებენ, თუმცა, შეიძლება კამეჩისა და თხის რძისგან ან მათი ნარევისგან დამზადდეს.

ხალხში გავრცელებული გადმოცემების თანახმად, სახელი სულგუნი ორ ქართულ სიტყვასთან „სულთან“ და „გულთან“ არის დაკავშირებული. სამეგრელოში სულგუნს შემდეგნაირად ამზადებენ, ახალმოყვანილ (იმერული წესით) ჭყინტ ყველს, გრძელ ნაჭრებად დაჭრიან და რძეში ათავსებენ, ცეცხლზე ადუღებენ და დიდხანს ზეღენ. შემდეგ სულგუნს ბადიაზე გადაიტანენ, რომ დაიწუროს და ისევ კარგად გადაზეღენ, მისცემენ მრგვალ ფორმას, მოაყრიან მარილს ორივე მხრიდან და ერთი-ორი დღით დააძველებენ, რაც სულგუნს უფრო გემრიელს და არომატულს ხდის. ამგვარი წესით მომზადებული სულგუნი დიდხანს არ ინახება, თუმცა შესაძლებელია მისი გაშრობა და შებოლვა. შებოლილი სულგუნი სრულიად განსხვავებული გემოს მატარებელი ყველია და მისი შენახვა რამდენიმე თვე შეიძლება.

მეგრულ სამზარეულოში სულგუნს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მისგან სხვადასხვა გემრიელი კერძი მზადდება. დღეს უკვე მთელს საქართველოშია გავრცელებული და პოპულარული ელარჯი – ღომში ჩაზელილი სულგუნი, გეჭალია – პიტნით შეზავებული ყველის რულეტი ან უბრალოდ ღომი და სულგუნი.

გარდა იმისა, რომ გემრიელია, სულგუნი, ისევე როგორც სხვა სახეობის ყველი, ძალიან სასარგებლო პროდუქტია. იგი მდიდარია ცხიმებით და მინერალური ნივთიერებებით. განსაკუთრებით ალსანიშნავია კალციუმის შემცველობა, ამ მხრივ ყველი ლიდერია სასურსათო პროდუქტებს შორის. მაგალითად, თუ 100 გ. ხაჭო 150 მგ. კალციუმს შეიცავს, რძე – 120 მგ-ს, ყველში კალციუმის რაოდენობა 900-1000 მგ-ის ფარგლებშია. ამიტომ მოზრდილი ადამიანისათვის კალციუმის დღიური ნორმის დასაფარად 100 გ. ყველის მიღებაც კი საკმარისია.

### ქინძმარაული

ქინძმარაული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართული ღვინოა, რომელიც, ასევე, დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოეთში. „ქინძმარაული“ ადგილწარმოშობის დასახელების ნახევრადტკბილი ღვინოა, მისი წარმოშობის ისტორიისა და გემოვნური თვისებების შესახებ ენოლოგი გიორგი სამანიშვილი გვესაუბრება.

ღვინო „ქინძმარაულის“ ისტორია საბჭოთა პერიოდიდან იწყება. მისი გამოშვება 1942 წლიდან დაიწყო. ქინძმარაული კახეთში, მდინარე დურუჯის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პატარა ადგილს ჰქვია. კახელებს აქ ძველი დროიდან ვენახები ჰქონდათ გაშენებული და ითვლებოდა, რომ ამ მიწაზე მოყვანილი საფერავისგან განსაკუთრებული გემოს ღვინო მზადდებოდა. ღვინის განსაკუთრებულობა კი ამ კონკრეტული ადგილით, ნიადაგით და ჰავითაა განპირობებული. როგორც ირკვევა, მდინარე დურუჯი, რომელიც ალაზანს უერთდება, საუკუნეების მანძილზე კალაპოტს იცვლიდა და ნელ-ნელა მარჯვნივ გადაინაცვლებდა. ამ ბუნებრივი პროცესის შედეგად კი მდინარის ხეობაში მთაში ნაშალი ქანები – შავფიქალები ილექებოდა. მათი მეშვეობით ქინძმარაულში ე.წ. ხირხატიანი ნიადაგი

Sulguni has a special place in Megrelian cuisine and it is used to make a number of delicious dishes. Elarji, grounded corn cereal boiled with cheese, is now widespread and popular throughout Georgia, as well as Gebjalia – cheese roulette seasoned with mint, or a simple Ghomi<sup>5</sup> and Sulguni.

In addition to being delicious, Sulguni similar to other varieties of cheese has a number of health benefits. It is rich in healthy fats and minerals and particularly in calcium, unlike other foodstuffs. For instance, 100g of cottage cheese contains 150mg of calcium and 100ml of milk contains 120mg of calcium, whereas 100g cheese contains 900-1000mg of calcium. Thus, for an adult can easily receive its daily norm of calcium by consuming 100g of cheese.

### KINDZMARauli

Kindzmarauli is one of the most famous Georgian wines also popular in foreign countries. Kindzmarauli is semi-sweet with distinct appellations of origin. Enologist Giorgi Samanashvili discusses its history and qualities of taste below.

The history of Kindzmarauli dates back to the Soviet period. Its production was launched in 1942. Kindzmarauli is the name of a small area in Kakheti, on the left bank of the Duruji River. Kakhetians used to have vineyards there from the ancient times and they believed that wine made of Saperavi that grew on that territory had a special flavor. The location, the soil and the climate contributed to uniqueness of the wine. Turns out, throughout the years river bed of Duruji that joins Alazani was gradually moving to the right side. This natural process was causing black shells that had dissolved in the mountains to deposit in the ravine. As a result, subtropical climate and favorable thermal conditions were coupled with the so-called skeletal soil in Kindzmarauli formed as a result deposition of shells. "With its composition, soil of Kindzmarauli is different from soils of neighboring micro zones. Grapes ripen easily and accumulate more sugar, making it possible to produce naturally semi-sweet wine" – explains Giorgi Samanishvili, the enologist. Kindzmarauli is produced solely from Saperavi grapes grown in a concrete micro zone currently located in Kvareli district, on the left bank of the Alazani River, covering more than 600 hectares.

Under the Law on Appellations of Origin and Geographic Indications, Kindzmarauli was registered by Sakpatenti under appellations

<sup>5</sup> Grounded corn cereal.



**ქინძმარაული** – ადგილწარმოშობის დასახელების წითელი, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო. მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან. მევენახეობის ზონა: აღმოსავლეთი საქართველო, შიდა კახეთი, ყვარლის ადმინისტრაციული რაიონი.

**KINDZMARAULI** – controlled premium-quality, red natural semi-sweet wine of appellation of origin. The micro-zone is located in the eastern Georgia, in Inner Kakheti, in the administrative region of Kvareli.





ჩამოყალიბდა, ამას ემატება სუბტროპიკული ჰავა და ვაზისთვის მეტად ხელსაყრელი სითბური რეჟიმი. „ქინძმარაულის ნიადაგი თავისი შემადგენლობით განსხვავდება მეზობელი მიკროზონების ნიადაგებისგან. ამ ადგილას ყურძენი განსაკუთრებულად კარგად მწიფდება და მეტ შაქარს გროვებს, რაც შესაძლებელს ხდის მისგან ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო დამზადდეს,“ – განმარტავს ენოლოგი გიორგი სამანიშვილი.

ქინძმარაული მხოლოდ საფერავის ჯიშის ყურძნისგან მზადდება და ყურძენიც მხოლოდ კონკრეტულ მიკროზონაში უნდა იყოს მოყვანილი. ეს ზონა დღეისათვის ყვარლის რაიონში, მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს და 600 ჰექტარზე მეტ ტერიტორიას მოიცავს.

„საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ კანონის“ თანახმად, „ქინძმარაული“ საქპატენტის მიერ დარეგისტრირებულია როგორც ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება. კანონის თანახმად, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს აგროტექნოლოგიური რეგლამენტებიც. მაგალითად დადგენილია, რომ ქინძმარაულის მიკროზონაში 1 ჰექტარ მიწის ფართობზე, 7-8 ტონაზე მეტი საფერავის მოყვანა არ შეიძლება.

რაც შეეხება ღვინის გემოვნურ თვისებებს და მახასიათებლებს, „ქინძმარაული“ მაღალ ალკოჰოლიანი ღვინოა, იგი მუქი ბრონეულისფერი შეფერილობისაა, აქვს მდიდარი და სასიამოვნო არომატი, იგძნობა ხილის ტონები – ალუბლის, კენკრის. ის არის ძლიერი, მაგრამ დახვეწილი გემოს ღვინო, მოტკბო და ტანინიანი. „ხარისხიან ქინძმარაულში დაბალანსებული უნდა იყოს მაღალი ალკოჰოლი, ტანინი, მჟავიანობა და სიტკბო,“ – ამბობს გიორგი სამანიშვილი. მისი თქმით, ასეთი გემო განსაკუთრებით მოსწონთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც ყველაზე მაღალია ქართული ღვინის ექსპორტი, ხოლო დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს მომხმარებლებისთვის ცოტა უჩვეულოა ნახევრადტკბილი წითელი ღვინო, რადგან ისინი ნახევრადტკბილ თეთრ ღვინოებს არიან მიჩვეული. ენოლოგი, ასევე, მიიჩნევს, რომ ქინძმარაულს დიდი პოტენციალი აქვს აზიის ქვეყნებში, მაგალითად ჩინეთში, სადაც კონტრასტული გემოები მოსწონთ.

დღეისათვის, ქართულ ბაზარზე არსებული თითქმის ყველა კომპანია აწარმოებს ქინძმარაულს. კომპანიების უმეტესობას მიკროზონაში აქვს საკუთარი ვენახები ან ადგილზე ყიდულობენ ყურძენს. გიორგი სამანიშვილის შეფასებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ხარისხი, ხოლო რაც შეეხება ისეთ ღვინოებს, როგორიცაა „ქინძმარაული“ და „ხვანჭკარა“, მათი ხარისხი ერთგვარი სავიზიტო ბარათია ნებისმიერი ღვინის კომპანიისთვის. „ქინძმარაული და ხვანჭკარა ქართულ ღვინოებს შორის ძალიან პრესტიჟული სახეობებია, ამიტომ ყველა კომპანია ცდილობს, რომ ჰქონდეს კარგი ქინძმარაული და ხვანჭკარა, რათა ბაზარზე სახელი არ გაიფუჭოს,“ – აცხადებს გიორგი სამანიშვილი.

ღვინო „ქინძმარაულს“ დაძველება არ უხდება, რაც უფრო ახალია, მით უფრო არომატულია. მისი ზომიერად მიღება არა მარტო სასიამოვნოა, არამედ სასარგებლოცაა ადამიანის ორგანიზმისთვის. სხვა წითელი ღვინოების მსგავსად, ქინძმარაულიც დადებითად მოქმედებს საჭმლის მომნელებელ და გულ-სისხლძარღვთა სისტემების ფუნქციონირებაზე, ასევე, ის ხსნის სტრესსა და დაძაბულობას.

of origin. The law mandates that in view of the soil and climatic conditions, agro technological regulations must be observed. For instance, growing more than 7-8 tons of Saperavi on 1 hectare of soil in Kindzmarauli microzone is prohibited.

As to characteristics of the wine, Kindzmarauli has high alcohol content, dark grape in color, has rich and pleasant flavor with hints of fruit – cherry and berries. It is a strong wine but with a sophisticated flavor, sweetish and tannic. “Quality Kindzmarauli offers a balance of high alcohol, tannin, acidity and sweetness” – says Giorgi Samanishvili. According to him, such wine is particularly favored in post-Soviet countries with highest exports of Georgian while, whereas consumers in Europe and the US find semi-sweet wine unusually as they are more used to semi-dry white wines. The enologist also believes that Kindzmarauli has a great potential for success in Asia, including China where they favor contrasting flavors.

Almost all wine companies in the Georgian market are producing Kindzmarauli. Most of them have their own vineyards in the micro zone or purchase grapes there. According to Giorgi Samanishvili, throughout the recent period of ten years, quality of wines registered under appellations of origin has considerably improved. Wines such as Kindzmarauli and Khvanchkara, to a certain extent they are the face of any wine company. Since they are very prestigious varieties of Georgian wine and therefore, all companies are trying to produce the best possible Kindzmarauli and Khvanchkara, to maintain good reputation in the market.

Kindzmarauli is the kind of wine that's better the newer and with more intense flavor. Its moderate consumption is not only pleasant but beneficial as well. Similar to other red wines, Kindzmarauli is beneficial to the digestive system, functioning of cardio-vascular system; it releases tension and stress.









## ხშირად დასმული შეკითხვები დიზაინის შესახებ

### FAQ – FREQUENTLY ASKED QUESTIONS ABOUT DESIGN

#### რა არის დიზაინი?

დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება, კერძოდ, პროდუქტის ხაზები, კონტურები, ფერები, ფორმა, ტექსტურა, მასალა და/ან პროდუქტის მორთულობა.

#### რა არის დიზაინზე განსაკუთრებული უფლება და რა გზით წარმოიშობა ის?

დიზაინზე განსაკუთრებული (ექსკლუზიური) უფლება გულისხმობს დიზაინის მფლობელის ექსკლუზიურ შესაძლებლობას განკარგოს დიზაინი. მას უფლება აქვს ნება დართოს ან აკრძალოს იმ პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება.

საქართველოში დიზაინზე განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა მისი საქპატენტში რეგისტრაციის გზით (შესაბამისი განაცხადის შეტანის თარიღიდან) ან საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების საფუძველზე.

#### რა შემთხვევაში ექვემდებარება დიზაინი დაცვას?

დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურობა.

- დიზაინს აქვს სიახლე, თუ განაცხადის წარდგენის

#### What is a design?

A design is the appearance of the whole product or its part, namely, lines, contours, colours, shape, texture, and/or material and/or decoration of the product.

#### What is an exclusive right in a design and how does it originate?

An exclusive right in a design implies the exclusive opportunity of a design holder to exploit the design at his/her discretion. He is entitled to permit or prohibit making, selling, offering for sale, using, importing, exporting or putting on the market of the product, into which the design is integrated or for which it is used. Exclusive rights in a design originate by means of its registration at Sakpatenti (from the date of filing the respective application) or on the basis of extension of the international registration.

#### When is a design granted protection?

Protection shall be granted to a design if it is new and has individual character.

- A design is novel if no identical design has become available to the public before the date of filing an application or the date of priority date of filing an application or the



ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ გამხდარა საჯაროდ ხელმისაწვდომი. დიზაინები იდენტურად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ მათი ნიშნები მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან.

- დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე, განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისაგან, რომელსაც იმავე მომხმარებელზე ახდენს სხვა დიზაინი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე. დიზაინის ინდივიდუალობის შეფასებისას გაითვალისწინება მისი შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი.

### ვის აქვს დიზაინის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება?

განაცხადის შეტანის უფლება აქვს დიზაინერს (დიზაინის შემქმნელს) ან მის უფლებამონაცვლეს.

რამდენიმე პირის მიერ შექმნილ დიზაინზე განაცხადის შეტანის უფლება აქვს როგორც ყველა დიზაინერს ერთობლივად, ისე თითოეულ მათგანს სხვა თანადიზაინერების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, თუ თანადიზაინერთა შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ დიზაინზე, რომელიც უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, განაცხადის შეტანის უფლება აქვს დამსაქმებელს/შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### რა განსაზღვრავს დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს?

დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამოსახულება. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლების განსაზღვრისას გაითვალისწინება მისი შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი.

### როგორი უნდა იყოს დიზაინის გამოსახულება?

დიზაინის გამოსახულება შეიძლება იყოს წარდგენილი როგორც ფოტოს, ასევე გრაფიკული გამოსახულების სახით. ვინაიდან დიზაინის დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამოსახულება, ექსპერტიზის პროცესში მნიშვნელობა ენიჭება ყველა დეტალს, რომელიც გამოსახულია ფოტოზე/ნახატზე, ამიტომ აუცილებელია, რომ პროდუქტის დიზაინი გამოსახული იყოს ნეიტრალურ ფონზე. შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ერთი დიზაინის რამდენიმე ფოტო პროდუქტის წინა, უკანა და გვერდითა ხედებით. დიზაინის გამოსახულება წარდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად. შესაძლებელია ერთი ეგზემპლარი წარდგენილ იქნეს ელექტრონული (CD), ხოლო მეორე – მატერიალური ფორმით.

date of priority. Designs shall be deemed to be identical even if their features differ only in insignificant details.

- A design is of individual character if the overall impression it produces on an informed user differs from the overall impression produced on the same user by other design which has been made available to the public before the date of filing an application or the priority date. In assessing individual character, the degree of freedom of the designer in creation of the design shall be considered.

### Who has the right to request registration of a design?

The right to file an application shall vest in the designer (creator of a design) or her/his successor in title.

The right to file an application for the design developed jointly by several designers shall vest in all designers jointly as well as in each of them in case of written consent of other designers, unless otherwise provided by the agreement among the designers.

Where a design is developed by an employee and/or a contractor in the execution of his duties or implementation of the order, the right to file the application for the design shall vest in the employer/order issuer, unless it is otherwise provided by the agreement.

### What determines the scope of legal protection of a design?

The scope of legal protection of a design shall be determined by its appearance. In determining the scope of legal protection of the design, the degree of freedom of the designer in creation of the design shall be considered.

### What shall the representation of a design look like?

The representation of a design may be presented in the form of a photo as well as a graphic image. Considering that the scope of protection of a design is determined by its representation, in the examination process particular attention is paid to all details shown on the photo/drawing. Therefore, it is necessary to depict a design of the product on a neutral background. It is possible to submit several photos of a design, with a front, back and side views of the product. The representation of the design shall be submitted in two copies. It is also possible to submit a softcopy on a CD and a hardcopy.



## როგორ ხდება დიზაინის რეგისტრაცია?

დიზაინის რეგისტრაციისათვის განმცხადებელმა საქპატენტი უნდა წარადგინოს სათანადო წესით შევსებული განცხადების ბლანკი (ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)) და დიზაინის გამოსახულება.

განაცხადის მიღების შემდეგ, საქპატენტი კანონით განსაზღვრული წესით ატარებს ექსპერტიზას, რომელიც მოიცავს: შეტანის თარიღის დადგენას, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზასა და არსობრივ ექსპერტიზას. დიზაინის რეგისტრაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განაცხადის მონაცემები და დიზაინის გამოსახულება ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტის სააპელაციო პალატაში არ შევა სააპელაციო საჩივარი, დიზაინი რეგისტრირდება სამრეწველო საკუთრების რეესტრში და გაიცემა შესაბამისი მოწმობა.

## როგორია დიზაინის მოქმედების ვადა და ტერიტორია?

განმცხადებელს უფლება აქვს საქპატენტში რეგისტრაციაში გაატაროს დიზაინი ერთი ან რამდენიმე 5-წლიანი პერიოდით. რეგისტრირებული დიზაინის მოქმედების ვადა ჯამში შეადგენს არაუმეტეს 25 წელს საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან. ყოველი მომდევნო 5-წლიანი მოქმედებისათვის გადაიხდება შესაბამისი საფასური.

საქპატენტში რეგისტრირებული დიზაინი მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, განმცხადებელს უფლება აქვს დიზაინზე განსაკუთრებული უფლება მოიპოვოს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ან უშუალოდ შესაბამის საპატენტო უწყებაში განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციის გზით.

## How a design is registered?

In order to register a design the applicant shall submit to Sakpatenti a duly filled out application form (electronic version is available at the Sakpatenti official website: [www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)) and the representation of the design.

After receiving the application, Sakpatenti conducts examination examination as prescribed by applicable law, which includes confirmation of the application filing date, conducting of examination as to form and substantive examination. In case of taking a positive decision on the design registration Sakpatenti publishes the application data and the design representation according to the prescribed rule in the Official Bulletin. If within 3 months from the publication no appeal is filed to the Chamber of Appeals of Sakpatenti, the design is registered in the industrial property Register and a relevant certificate is issued.

## Term of validity and territorial scope of a design

The applicant is authorized to register a design at Sakpatenti for one or more periods of five years. The term of validity of a registered design shall not be more than 25 years from the date of filing the application. For extension of the term of validity for the following 5-year period a corresponding fee shall be paid. A design registered at Sakpatenti is effective only on the territory of Georgia. Further, the applicant is authorized to acquire an exclusive right in a design in the territory of any country on the basis of an international treaty or by filing an application and registration directly with the respective patent office.

## დიზაინი

დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოსახატულება. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურობა. დიზაინი რეგისტრირდება საქპატენტში.

## DESIGN

A design is the appearance of the whole product or its part. Legal protection shall be granted to a design if it is new and has individual character. Design shall be registered at SAKPATENTI.





## საავტორო უფლება COPYRIGHT

### აღმწერადი ფიფქები SINGING SNOWFLAKES

ლიკა ბერაია  
LIKA BERAIA

იმის მიუხედავად, ცვივა თუ არა ახალი წლის ღამეს ფიფქები, ამ მელოდის მღერის ყველა: ადამიანები – ქუჩებსა და სახლებში, ბავშვები – სკოლებსა და ახალი წლის ზეიმებზე. ის ისმის კონცერტებზე, ტელევიზორიდან და რადიოდან.

**„ფიფქები ცვივა და  
ფიფქები მღერიან  
გამოდით, გამოდით  
ახალი წელია“**

კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძის „ფიფქები“ ის ყველასთვის ცნობილი მელოდიაა, რომელიც უკვე 40 წელზე მეტია ახალ წელთან და კარგ განწყობასთან ასოცირდება, თუმცა, ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ ეს მელოდია საავტორო დავის საგანი არაერთხელ გამხდარა.

შესრულებისთანავე პიტად ქცეული „ფიფქები“ იაკობ ბობოხიძემ 45 წლის წინ დაწერა. სიმღერა იმავე წელს საახალწლო კონცერტზე შესრულდა და პოპულარული გახდა. გივი ჩიჩინაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ირაკლი უჩანეიშვილის და ლენა რაქვიაშვილის დუეტმა შეასრულა.

ახლა ამ სიმღერაზე საავტორო უფლება იაკობ ბობოხიძის ოთხი შვილიდან ერთს, ია ბობოხიძეს აქვს, რომელიც მართავს და განკარგავს სიმღერის გამოყენების ნებართვას. კომპოზიტორის მემკვიდრე იხსენებს, რომ მელოდის დაწერის ისტორია მამამ თავად უამბო:

„მამა მონადირე იყო. ეს მუსიკაც კავკასიონზე, ნადირობის დროს შექმნა. მელოდია მარადიულობის თემაზეა. ხეობაში ყოფნისას ფიქრობდა – რამდენი ადამიანი ახსოვს ამ ხეობას, რამდენმა გაიარა და კიდევ რამდენი გაივლისო, ამ მარადიულობის თემაზეა ეს მუსიკაც და,

Whether snowflakes are falling or not at the New Year's Eve, this song is omnipresent – people in the streets and at their homes are singing it, children in schools are singing it; it is heard during the New Year's concerts and celebrations, on television and the radio.

**“Snowflakes are falling  
Snowflakes are singing  
Come outside, come outside  
It's a New Year!”**

The song *Snowflakes* composed by Iakob Bobokhidze is a well known melody that has been associated with a New Year and a cheerful mood for more than 40 years. However, what many of you probably don't know is that this melody has been a subject of copyright dispute on number of occasions.

An instant hit by Iakob Bobokhidze was composed 45 years ago and performed the very same year, at a concert celebrating the New Year. It has been popular ever since.

Lyrics written by Givi Chichinadze were performed by a duet of Irakli Uchaneishvili and Lena Rakviashvili to the music performed by symphonic orchestra.

Currently copyright to the song is owned by one of Iakob Bobokhidze's four children, Ia Bobokhidze. She manages the permission to use this song. Ia Bobokhidze reminisces on her father's story about how he composed the melody:

“My father was a hunter. He composed the music





სწორედ, მარადიულობის სიმბოლოდ, ასაკოვანი ირაკლი უჩანეიშვილი და ახლგაზრდა ლენა რაქვიაშვილი ასრულებდნენ მას. მამა ხეობიდან რომ ჩამოვიდა, მაშინვე ჩანერა ნოტები და სიმღერაც აჟღერდა საახალწლოდ.”

„ფიფქების“ მეორე ვარიანტიც არსებობს. ის მუსიკა ცნობილ ქართულ ფილმში „კუჩხი ბედინერი“ გამოიყენეს. ია ბობოხიძე ამბობს, რომ ფიფქებთან დაკავშირებით დავა ხშირად უწევთ. „თითქმის ყოველ წელს ირღვეოდა საავტორო უფლებები, ავტორის სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც. იაკობ ბობოხიძის ფიფქებს სარეკლამოდაც ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა ინტერპრეტაციით“, – იხსენებს ია ბობოხიძე. ცნობილ მუსიკაზე ცნობილი საავტორო დავა კომპოზიტორს „რუსთავი 2“-თან და ნიკა მემანიშვილთან ჰქონდა. ია ბობოხიძე იხსენებს, რომ ნიკა მემანიშვილმა მუსიკის გამოყენება ითხოვა, რაზეც კომპოზიტორის თანხმობა მიიღო, მაგრამ შემდეგ საკუთარ კომპოზიციაში ბობოხიძის მელოდია ჩართო, როგორც მისამღერი, თან ისე, რომ ავტორს არ შეუთანხმა და არ გააცნო. ასეთი ფორმით მუსიკა 31 დეკემბერს, საახალწლო კონცერტზე პირდაპირ ეთერში გაჟღერდა.

„ჩვენ ძალიან აღუშფოთდით. არ შეიძლება თანაავტორად შეეზიარო ადამიანს ისე, რომ მან არ იცოდეს ამის შესახებ. ინტერპრეტაცია კი არ იყო, დამახინჯებული

while he was hunting in the Caucasus Mountains. While in a ravine he started wondering about how many people must have spent time in the ravine, those who already did and those who were going to. His pondering on issues of eternity is echoed in this music, and to symbolize the eternity the song was performed by an elder singer, Irakli Uchaneishvili with his younger duet partner Lena Rakviashvili. Upon his return from the ravine, he recorded the music notes and performed it for the New Year.”

There is another version of *Snowflakes*, featured in a famous Georgian film *Kuchkhi Bedineri*. According to Ia Bobokhidze, they are frequently in a dispute over the *Snowflakes*. “Copyright has been violated almost every year, both in life of the author and after his death. It was featured in a number of advertisements, with different interpretation” – recalls Ia Bobokhidze.

There was a notorious copyright dispute over the music with TV Company Rustavi 2 and a composer, Nika Memanishvili. Ia Bobokhidze recalls that Nika Memanishvili asked for her permission to use the music and she agreed; but later he incorporated Bobokhidze’s music in his own composition as a chorus, without informing and coordinating it with the



იყო მუსიკა. ეს კი აბსოლუტურად მიუღებელი იყო ავტორისთვის. შევიტანეთ სარჩელი. მემანიშვილი მოვიდა და ბოდიში მოუხადა ავტორს, რის შემდეგაც სარჩელი გამოვიტანეთ. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, მასთან დავა 4 წლის მანძილზე გრძელდებოდა, რადგან ფიფქების მუსიკა „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და უამრავმა ადამიანმა გაიგონა მუსიკა იმ სახით, როგორიც არ არის. 4-წლიანი სასამართლო დავის შემდეგ კომპანიამ სიმბოლური თანხა, 3000 დოლარი გადაიხადა და დავაც შეწყდა.“ თუმცა, ეს არ ყოფილა ბოლო შემთხვევა, როცა სწორედ ფიფქების მუსიკაზე საავტორო უფლება დაირღვა.

„ნებართვის გარეშე ნუ გამოიყენებთ იაკობ ბობოხიძის ფიფქებს, რომელიც შექმნიდან 40 წლის შემდეგაც ისევე ისმინება, როგორც პირველად. გვირჩევნია საერთოდ არ შესრულდეს, ვიდრე შესრულდეს დამახინჯებული ფორმით.“ – განმარტავს ცნობილი კომპოზიტორის შვილი.

ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა, როდესაც „ფიფქების“ მელოდია საავტორო უფლების მფლობელის დაუკითხავად გამოიყენეს იყო ახალი ქართული ფილმი „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“.

„ყოველ წელს გვაქვს ბრძოლა „ფიფქებთან“ დაკავშირებით. უკვე მეორე წელია ავტორთა საზოგადოებაში გავწევრიანდით და იმედი გვაქვს, ნებართვის გარეშე, მუსიკას ველარ გამოიყენებენ. სასაცილო და უცნაური

author first. The synthesis of these two different pieces of music was broadcasted live on air on December 31 during the New Year's concert.

We were outraged. Co-authoring without telling the other party about it first is unacceptable. It was not an interpretation; it was distortion of the music, which was completely unacceptable for the author. We filed a lawsuit but after Memanishvili came and apologized to the author, we withdrew the claim. The dispute with Rustavi 2 was ongoing for years over broadcasting of an altered version of the music piece for a broad audience to hear. Following a four-year long court dispute, the company paid a symbolic sum in the amount of GEL 3000 and the dispute was put to end. However, this was not the last case of copyright violation involving the *Snowflakes*.

“We ask you not to use Iakob Bobokhidze’s *Snowflakes* without permission. It has maintained its original sound forty years after the creation, and rather than having a distorted version of the piece performed, we prefer not to have it performed at all” – explains the daughter of the renowned composer.

One of the most recent cases in which the melody was used without permission from the copyright holder was a Georgian movie *What You Love the Most*.

“We are in dispute over *the Snowflakes* every year.

იაკობ ბობოხიძე  
Iakob Bobokhidze

ფოტო ფაჩხის არქივიდან  
Photo from family Archive



ის არის, რომ უკვირთ, რატომ უნდა აიღონ უფლება და არ გამოიყენონ მუსიკა დაუკითხავად. ავტორი როცა ჰყავს ნაწარმოებს უნდა გადაიხადო ჰონორარი, რომ შეასრულო მისი სიმღერა“, – ამბობს ია ბობოხიძე.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, იაკობ ბობოხიძე 1977 წლიდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუსიკალური განყოფილების მთავარ რედაქტორად მუშაობდა. შექმნილი აქვს ნაწარმოებები მუსიკალური თეატრისათვის, ვოკალური და სიმფონიური ნაწარმოებები, ასევე, მუსიკა კინოფილმებისათვის: „კუჩხი ბედინერი“, „ნატვრის ხე“, „ზოგი ჭირი მარგებელია“, „ხარება და გოგია“, „სამოთხის გვრიტები“, „ცოდვის შვილები“. ამ ვრცელი ჩამონათვალისა და ყველასათვის ნაცნობი და განსაკუთრებულად საყვარელი ალბათ მაინც „ფიფე-ბია“, რომელიც დარწმუნებული ვარ ამ ახალ წელსაც თბილ განწყობას შეგვიქმნის... და კიდევ ერთი – იმედია, წლების წინ არსებული პრობლემები უკან დარჩება და თუ მართლა გვსურს, რომ ცივილიზებული მსოფლიოს ღირსეული ნაწილი გავხდეთ, საქართველოში აღარავის გაუკვირდება, რომ ნაწარმოების გამოყენებისათვის ავტორის ნებართვა საჭირო.

„ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია“

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23.

We have been a member of the copyright association for two years now and we hope that it won't be used without permission any more. A funny and a weird thing is that they are surprised about having to get prior permission and not to use the piece without asking first. One has to pay a royalty to the author when you perform his music piece” – says Ia Bobokhidze.

Iakob Bobokhidze, a prominent figure in arts, had been working as an editor in chief of the music department at the Georgian Film movie studio since 1977. He has composed pieces for a musical theater, as well as vocal and symphonic pieces and scores for the following movies: Kuchkhi Bedineri, Natvris Khe, Zogi Chiri Margebelia, Khareba da Gogia, Samotskhis Gvritebi, Tsodvis Shvilebi. The most popular and favorite of all of his pieces is probably the Snowflakes, which will help us get into the New Year's spirit this year as well. And lastly, I hope that this year's problems will stay in the past and if we genuinely strive to become a worthy part of the world, I hope that no one will be surprised anymore at hearing that use of an author's work requires the latter's permission.

*“The freedom of intellectual creation shall be guaranteed. The right to intellectual property shall be inviolable”.*

CONSTITUTION OF GEORGIA, ARTICLE 23.



## საავტორო უფლება

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს საქპატენტში. დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება.

## COPYRIGHT

Copyright shall apply to scientific, literary and artistic works which are the result of the intellectual and creative activity. Copyright is commenced upon its creation. The author or other copyright owner may deposit the original or a copy of a work with SAKPATENTI. Person indicated in a Deposition Certificate shall be deemed to be the author of the work, unless otherwise proved.





## ჩიჩილაკი – ნაძვის ხის ქართული კონკურენტი

## CHICHILAKI – GEORGIAN COMPETITOR OF CHRISTMAS TREE

ელისო ჯარიშვილი  
ELISO JARIASHVILI

კალანდასთან შეხვედრა გურიაში მთელი რიტუალია. მისთვის მზადებას ბარბარობის დღესასწაულზე იწყებენ. საახალწლო სუფრისთვის ღორს და მამალს კარგად ასუქებენ, მეკვლის შესარჩევ თადარიგს იჭერენ. ბარბარობას იჭრება საჩიჩილაკე თხილიც. მას დასალბობად წყალში დებენ და ოჯახის უფროსი ახალი წლის ღამეს თლის. ჩიჩილაკის გარეშე კალანდა წარმოუდგენელია, მან საახალწლო ხონჩაზე საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს.

ჩიჩილაკის – ნაძვის ხის ქართული კონკურენტის, ისტორია სათავეს სწორედ დასავლეთ საქართველოდან იღებს. ლეგენდის მიხედვით, პირველი ჩიჩილაკი გურიის სოფელ ბასილეთში დამზადდა. სოფელში ტრადიცია დღემდე არ ირღვევა. დღესაც, ნაძვის ხის ნაცვლად, თითქმის ყველა ოჯახში თხილის ღეროსგან დამზადებულ ჩიჩილაკს დგამენ.

ჩიჩილაკი თხილის მსხვილი ჯოხისაგან მზადდება. ჯოხს ჯერ გაახურებენ მეტი დრეკადობისათვის, კანს გააცლიან და მახვილი დანით ბოლოდან წვერისაკენ იწყებენ თხელი ბურბუშელების ათლას. ბურბუშელას წვერიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებამდე უწყვეტად გაიტანენ და აკეცავენ. ოსტატი ამ ხერხით ასობით გრძელ ბურბუშელას აჭრის და აკეცავს. აკეცილ ბურბუშელებს შემდეგ ისევ ღერძზე გადმოფენს და გამოდის ხის მსგავსი საგანი, რომელსაც ძირზე უმაგრებს სადგარს. ზედა წვეროს ჯვარედინად ჩაჩეხავს და შიგ ჯვრის ფორმით წვერწამახულ ჯოხებს ჩასვამს. ამ ჯოხების ბოლოებზე ჩამოაცვამენ ორ ბროწეულს ან ვაშლს.

გადმოცემის მიხედვით, საუკუნეების წინ ჩიჩილაკზე კიდებდნენ გაპუტულ შაშვსაც, რომელსაც ფრთისა და ბოლოს ბუმბულს უტოვებდნენ. ასევე, შეიძლებოდა სამ-

Kalanda is celebrated with a special ritual in Guria. Preparations start on the Day of St. Barbare and include fattening up pigs and chicken for the feast and carefully selecting a Mekvle; cutting down nut trees for making Chichilaki and putting the wood sticks in the water to soften and later be made by head of the family into making Chichilaki. Kalanda without Chichilaki is almost impossible, as it has a distinguished place on the New Year's tray.

The history of Chichilaki, Georgian competition of a Christmas tree originates from western part of Georgia. According to the legend the first Chichilaki was made in the village of Basileti in Guria. The village has preserved the tradition and almost all families put up a Chichilaki made from a nut tree instead of a Christmas tree.

Chichilaki is made from a thick wooden stick which is first heat up for more flexibility, and stripped off its skin. They start peeling off shavings with a sharp knife from bottom to top, without chopping them off but rolling them up, so that there are hundreds of such long shavings hanging down from the stick. The stick is attached with a pedestal, its top is stretched crosswise and sticks with pointy ends are inserted. These sticks have two pomegranates or apples on them.

The legend has it that centuries ago they used to hang on Chichilaki a blackbird cleaned off its feathers from all parts except for its wings and tail. They also used to hang jewelry, colored threads and candies. They used to color Chichilaki red with Madder in Imereti, while in Guria they used to decorate it with Kalpi, an ornament made of braided evergreen ivy and red berry sprouts. Kalpi was usually placed on top of Chichilaki, where the shavings were gathered. On Kalpi they also



კაულის, ფერადი ძაფებისა და ფოჩიანი კანფეტების დაკიდებაც. იმერეთში ჩიჩილაკს ენდროთი აფერადებდნენ და ის მონიტალო ფერს იღებდა. გურიაში კი მას ადგამდნენ კალპს – მარადმწვანე სუროსაგან და წითელმარცვლიანი კურკანტელის ლერწებისაგან მოწნულ რგოლს. კალპი ჩიჩილაკის თავზე, ბურბუშელის შეკრების ადგილას თავსდება. მასზე იდებოდა ყველით შეზავებული გულამოჭრილი კვერცხი. კალპის მსგავს მოსართავს ჩიჩილაკებს რაჭაშიც ადგამდნენ და მათ გვერგვი ეწოდებოდა.

ჩიჩილაკის მსგავსად ხის ტოტების შემკობა და საჩუქრად მიღება სცოდნიათ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მაგალითად, ხევში, საქორწილო რიტუალის დროს საჩუქრებითა და ხილით შემკულ ხეს ნეფე-დედოფალს მიართმევდნენ ხოლმე. სვანეთში კი მიცვალებულის სახელზე აკეთებდნენ ე.წ. „კამარას“. ზრდადარულე-ბული, ტანმაღალი ხის წვერს მიწამდე მოხრიდნენ და დაამაგრებდნენ, ხოლო ზედ სხვადასხვა შესანიშნავს დაჰკიდებდნენ.

ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, როდესაც რომელიმე დღესასწაულზე გლეხს ბატონისთვის ძღვენი მიჰქონდა, ხშირად ხის ტოტებზე ასხმულ ხილსა და სხვადასხვა სურსათ-სანოვავსაც მიართმევდა.

ჩიჩილაკის შექმნის კონკრეტული თარიღი უცნობია, თუმცა, ეთნოლოგების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი წლის ეს ატრიბუტი წარმართული დროიდან მოდის. ამ ვერსიის მომხრეები საკუთარ მოსაზრებას იმით ამყარებენ, რომ ჩიჩილაკი ერთ-ერთი უმთავრესი

put an egg with cheese dressing and without a yolk. They used to have similar decoration in Racha called Gvergvi.

Decorating tree branches like Chichilaki and giving them out as presents was common place in other parts of Georgia. For instance, in Khevi during a wedding ritual the bride and groom received a tree decorated with presents and fruit, while in Svaneti they made a so-called Kamara for a deceased person. Making of Kamara entailed bending a tall tree all the way down to the ground and reinforcing it, decorating it with various presents.

Further, in various parts of Georgia peasants frequently delivered to their masters some fruit and various foodstuff hung on tree branches as a holiday present.

There is no known date when Chichilaki was created; however, some ethnologists believe that it dates all the way back to paganism, arguing that Chichilaki was one of the key parts of the ritual conducted in western Georgia at the New Year's Eve by followers of pagan traditions.

All families in Guria were visited by Meklve at New Year's Eve, who was usually holding a tray and knocked three times on the door. There must have been a boiled pig's head, cereal grains, sweets and a Chichilaki on his tray. He repeated the following words three times – *as I set my foot in your house, may favor of Go rest upon you*, and hosts opened the door for him. First he

ჩიჩილაკი თხილის მსხვილი ჯოხისაგან მზადდება.

Chichilaki is made from a thick wooden stick.







შემადგენელი ნაწილი იყო იმ რიტუალის, რომელიც დასავლეთ საქართველოში ყოველ ახალ წელს წარმართული ტრადიციებით ტარდებოდა.

გურიის ყველა ოჯახს ახალი წლის დადგომას მეკვლე ულოცავდა. კალანდის შემოსვლის შემდეგ, ის საახალწლო ხონჩით ხელში კარზე სამჯერ დააკაკუნებდა. ხონჩაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ღორის თავი, მარცვლეული, ტკბილეული და, რა თქმა უნდა, ჩიჩილაკი. კარს სამჯერ დალოცვის შემდეგ უღებდნენ. „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა!“ – ამ სიტყვებით მეკვლე სახლის დალოცვას იწყებდა. ჯერ რცხილის ნაფოტს დააგდებდა კერიაზე, შემდეგ ფეტვს მიმოაბნევდა ანუ სიმბოლურად დათესავდა, წყალს დაასხამდა და ლოცვას დაიწყებდა. ოჯახის წევრები ჩიჩილაკს ხელით შეეხებოდნენ და ისინიც ლოცვას იწყებდნენ. მეკვლე კერიის გარდა, საქონელს, მარანს და საწნახელს ლოცავდა, რის შემდეგაც ყველანი სუფრას მიუსხდებოდნენ. ღორის თავი ისევე, როგორც საკალანდო ნამცხვარი ბასილა, სუფრის განუყრელი ატრიბუტი იყო. წარმართული ტრადიციით ღორი მზის ღვთაების შესაწირად ითვლებოდა, ბასილა, მზის კერპის ქანდაკებად. ეს სახელი მას იმის შემდეგ ეწოდა, რაც მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ახალი წელი წმინდა ბასილის სახელს დაუკავშირა. ჩიჩილაკს დასავლეთ საქართველოში ხშირად ბასილას წვერსაც ეძახდნენ.

წარმართული რწმენის მიხედვით, თხილის ხე, რომლისგანაც ჩიჩილაკი მზადდება, მზის ღვთაებისადმი

ლევენდის მიხედვით, პირველი ჩიჩილაკი გურიის სოფელ ბასილეთში დამზადდა.

According to the legend the first Chichilaki was made in the village of Basileti in Guria.

threw a sliver of hornbeam to the hearth and scattered millet as a symbol of planting seeds, poured water and started to pray. Members of the family started touching Chichilaki with their hands and praying. In addition to the hearth, Mekvle also prayed for cattle, marani<sup>1</sup> and winepress after which everyone set at the table, which usually featured a boiled pig's head and a cake Basila. In pagan tradition a pig was an offering given to the sun, while Basila was a statue of idol of the sun. The cake was named Basila after the Christian Church linked the New Year's Eve to the name of St. Basili. Chichilaki was frequently referred to as Basila's beard in western Georgia.

In paganism a nut tree used to make Chichilaki was considered to be an offering given to the idol of the sun, similar to a laurel leaf, ivy, pomegranate and other plants that Chichilaki was decorated with. With its decoration Georgian Chichilaki resembles Greek Iresioni, an offering that Greeks made to the idol of the sun. Experts believe that Chichilaki is made from wood associated with life and is viewed as a symbol of prosperity, health and heavenly grace. In western Georgia, frequently Mekvle predicted future by touching the top of Chichilaki.

<sup>1</sup> A location for storing wine in special pitchers.



შენიშნულ მცენარედ ითვლებოდა. ასევე, ღვთაებების თემას უკავშირდება დაფნა, სურო, ბროწეული და სხვა მცენარეები, რომლებითაც ჩიჩილაკს ამკობდნენ. ქართული ჩიჩილაკი თავისი მორთულობით ბერძნულ ირესიონსაც წააგავს, რომელსაც ბერძნები მზის ღვთაებას უძღვნიდნენ. სპეციალისტების აზრით, ხისგან გამოთლილი ჩიჩილაკი სიცოცხლის ხესთან ასოცირდება და ბარაქის, ჯანმრთელობისა და ზეციური წყალობის სიმბოლოა. დასავლეთ საქართველოში ჩიჩილაკის წვერზე ხელის დადებით მეკვლე ხშირად მომავალსაც წინასწარმეტყველებდა.

ჩიჩილაკს, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ახალი წლის სადღესასწაულო ხონჩაზე, ტრადიციის მიხედვით, ნათლისღების წინა დღეს აუცილებლად წვავდნენ და მის ფერფლს ატანდნენ გასული წლის უსიამოვნებებს, თუმცა, ოფიციალურ რელიგიურ რიტუალთან ამ ტრადიციას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ჩიჩილაკის ტრადიციამ უკანა პლანზე მეოცე საუკუნეში, კერძოდ კი საბჭოთა პერიოდში გადაინია. ნაძვის ხე მოსახლეობაში უფრო პოპულარული გახდა და ჩიჩილაკის მორთვის ტრადიციამ, ძირითადად, რეგიონებში გადაინაცვლა. ჩიჩილაკმა ძველი დიდება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიბრუნა და წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი ოჯახი დგამს მას სახლში შობა-ახალ წელს.

ხშირად ისმის კითხვა – არის თუ არა ქართული, ტრადიციული ჩიჩილაკი ნაძვის ხის კონკურენტი? როგორც წესი, ოჯახების დიდ ნაწილში და განსაკუთრებით დედაქალაქში, ხალხი უპირატესობას ნაძვის ხეს ანიჭებს. მიუხედავად ამისა, დღეს ჩიჩილაკი ტრადიციების მოყვარული ბევრი ოჯახისთვის შობა-ახალი წლის დღესასწაულის განუყრელი ატრიბუტია. ხშირად ვხვდებით ოჯახებსაც, სადაც ჩიჩილაკსაც დგამენ და ნაძვის ხესაც. ეს ერთგვარი სიმბოლური სინთეზია – ჩვენ, ქართველები ხომ მუდამ ვცდილობთ, რომ ვიყოთ ევროპელები, მაგრამ შევიწინარჩუნოთ ის ტრადიციები, რომელიც მნიშვნელოვან ღირებულებებს ატარებს.

Chichilaki, which occupied an important place on the New Year tray, was traditionally burnt the day before Epiphany and throwing of its ashes symbolized throwing of last year's troubles. However, this tradition had nothing to do with official religious ritual.

The tradition of Chichilaki decreased in importance in the 20<sup>th</sup> century, during the Soviet Era as the Christmas tree became more popular. However, the tradition remained in the regions. It regained its glory in the 90s and since then, more and more families have been decorating it for Christmas and the New Year.

People frequently ask whether traditional Georgian Chichilaki can be viewed as a competitor of the Christmas tree. Generally, most families and particularly those in the capital prefer the latter. Nevertheless, Chichilaki is an important part of the holiday season. Many families decorate both Chichilaki and Christmas tree for the holidays, which is a symbolic synthesis as Georgians in their attempt to be Europeans also hold on to traditions to which they attach an important value.





## სასაქონლო ნიშანი - ბრენდი TRADEMARK - BRAND

### „ბაგრატიონი 1882“ – ქართული მეფური ტრადიცია “BAGRATIONI 1882” – GEORGIAN ROYAL TRADITION

სოფო კვინტრადე  
SOPHIE KVINTRADZE



#### „ბაგრატიონი 1882“ ქართული მეფური ტრადიცია

ახალი წელი ის დღესასწაულია, რომელიც ტრადიციებს უკავშირდება. ადამიანებს უყვართ ახალი წლის შეხვედრა მათთვის მნიშვნელოვანი ან უბრალოდ სასიამოვნო რიტუალების თანხლებით. ერთ-ერთი ასეთი ტრადიცია სუფრასთან ზუსტად ღამის 12 საათზე ცქრილა ღვინის ბოთლის ხმაურიანი გახსნა და შუშუნა სასმელით ერთმანეთისთვის დღესასწაულის მილოცვაა. ჟურნალის ეს ნომერი სადღესასწაულოა, ამიტომ გადავწყვიტეთ ცქრილა ღვინის ისტორია და საქართველოში ამ პროდუქციის ყველაზე ცნობილი სასაქონლო ნიშანი (ბრენდი) და მისი მწარმოებელი ლიდერი კომპანია გაგაცნოთ. თუმცა, მანამდე რამდენიმე საუკუნით უკან, მე-17 საუკუნის საფრანგეთში გადავინაცვლოთ.

#### მერიალ ღვინის ანუ „შამპანურის“ ისტორია

ცქრილა ღვინოს, მისი დასახელების ან წარმომავლობის მიუხედავად, ხშირად უწოდებენ „შამპანურს“, რაც არასწორია, რადგან ამ სახელის ტარების უფლება მხოლოდ იმ ცქრილა ღვინოს აქვს, რომელიც საფრანგეთში, შამპანის პროვინციაშია დამზადებული. ღვინის ამ ძალიან პოპულარული სახეობის ისტორია სწორედ შამპანიდან იწყება. მე-17 საუკუნეში შამპანის პროვინციაში მდებარე ბენედიქტის მონასტრის სააბატოში ბერი დომ პიერ პერინიონი მოღვაწეობდა. რელიგიური მსახურების პარალელურად, აბატი ვენახის მოვლას და ღვინის დანუერვასაც დიდ დროს უთმობდა და, რაც მთავარია, ექსპერიმენტებს ატარებდა შუშუნა ღვინის მისაღებად. „იჩქარე, მე ვარსკვლავს

#### “BAGRATIONI 1882” GEORGIAN ROYAL TRADITION

New Year has always been a holiday related to traditions. People love celebrating it with rituals they enjoy or deem important. One of these traditions is opening a bottle of sparkling wine at midnight sharp at a celebratory dinner to say cheers. The present issue of the magazine is a special celebratory edition and therefore, we decided to introduce you to the history of sparkling wine, its most famous trademark (brand) in Georgia and the producing company. Before we do that, let's take a look back at the 17<sup>th</sup> century France.

#### STORY OF SPARKLING WINE OR CHAMPAIGN

Regardless of its name and origins, sparkling wine is frequently referred to as Champaign, which is in fact inaccurate as this name can only be borne by a special type of sparkling wine produced in the province of Champaign in France. Champaign is where the history of a very popular type of wine began. There was a monk Dom Pierre Pérignon serving in a Benedictine monastery in Champaign province in the 17<sup>th</sup> century. In addition to practicing religion, the monk spent a lot of time on taking care of a vineyard and winemaking. Most importantly, he was experimenting to make a sparkling wine. “Come quickly, I am drinking the stars” – the legend has it that these were the words uttered by an excited monk when he first tasted Champaign he had produced. Pierre Pérignon made sparkling water by mixing white wine and yeast. The drink became very popular in French aristocratic circles and was gradually



ვსვამ!“ – გადმოცემის თანახმად ეს სიტყვები წარმოთქვა აღფრთოვანებულმა ბერმა, როცა პირველად დააგემოვნა საკუთარი მეთოდით დამზადებული შამპანური. პიერ პერინიონმა, თეთრი ღვინისა და საფუარის სინთეზის მეშვეობით, შუშუნა ღვინო მიიღო. სასმელმა თავიდანვე მოიპოვა დიდი პოპულარობა საფრანგეთის სამეფოს არისტოკრატიულ წრეებში, თანდათანობით კი ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. საუკუნეების მანძილზე ამ მეთოდით ღვინის დამზადება მთელ მსოფლიოში გავრცელდა და შამპანში წარმოებული „შამპანურის“ სახელი ცქრილა ღვინის სინონიმად იქცა.

### შპრილა ღვინის დაბადება საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში ამ ტრადიციის ჩამოყალიბება ბაგრატიონის გვარს უკავშირდება, კერძოდ კი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელს, რომელიც 1812 წელს დაიბადა. დიდი ბიძის პეტრე ბაგრატიონის მსგავსად, ივანე ბაგრატიონიც სამხედრო კარიერას მისდევდა და კარგი განათლებაც მიიღო. თუმცა, ამის პარალელურად მუდამ აინტერესებდა მევენახეობა და საგვარეულო მამულების განაშენიანებასა და მოვლაზე ზრუნავდა. შემდეგ იგი თადარიგში გადავიდა და მთელი თავისი ძალ-ღონე სოფლის მეურნეობისკენ მიმართა და საკმაოდ წარმატებულადაც... ისტორიული წყაროების თანახმად, 1884 წელს მისი მეურნეობის შემოსავალი 200 000 მანეთზე მეტი იყო, ხოლო მის სარდაფებში 50 000 ვედროზე მეტი ღვინო ინახებოდა. ივანე ბაგრატიონ-მუხრანელს ვენახები გაშენებული ჰქონდა თბილისის, გორისა და დუშეთის მაზრებში. ღვინის მთავარი საწყობები მუხრანსა და დიღომში მდებარეობდა. მუხრანში აშენებულ საცხოვრებელ სასახლეში იყო ღვინის დასაყენებელი მარანი და საწყობები. ივანე ბაგრატიონი ამზადებდა ღვინოს ტრადიციული ქართული მეთოდით და ქვევრებში ინახავდა, ასევე, ამზადებდა ცქრილა ღვინოს ევროპული მეთოდით. იმ პერიოდისათვის ევროპაში ცქრილა ღვინის დასამზადებლად ძირითადად გამოიყენებოდა ყურძნის ჯიშები – შარდონე, პინო, ალიგოტე და რიზლინგი. ივანე ბაგრატიონმა შესაბამისი მჟავიანობის ქართული ყურძნის ჯიშები შეარჩია – ჩინებული, გორული მწვანე, ციცქა და ცოლიკაური. სწორედ მათგან ამზადებდა ის ცქრილა ღვინოს ფრანგული ბოთლური მეთოდით. განსხვავებული და განსაკუთრებული გემოთი გამორჩეული ქართული ცქრილა ღვინო 1882 წელს სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდოთი – სახელმწიფო გერბით დაჯილდოვდა. თარიღი 1882 წელი დღემდე ამშვენებს კომპანია „ბაგრატიონი 1882“-ის ლოგოს, როგორც სიმბოლური დასაწყისი ქართული ცქრილა ღვინის საერთაშორისო აღიარებისა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს დასახელება არის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, ამიტომ მას შეიძლება თამამად ეწოდოს ცქრილა ღვინის ქართული ბრენდი.

საქართველოში ცქრილა ღვინოების წარმოება მერე მძლავრი იმპულსი საბჭოთა პერიოდში მიიღო. ცნობილია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი გერმანიაში ვიზიტისას გერმანელმა კოლეგამ



„ბაგრატიონში“ ჩინურ და გორულ მწვანეს, ციცქას, დამატებით კი საფერავსა და თავკვერს იყენებენ.

Chinuri and Goruli Mtsvane, Tsitska and additionally Saperavi and Tavkveri are used in Bagrationi sparkling wine.

spread to other European countries. Throughout centuries this method of production of wine became widespread throughout the world, so as Champaign produced in the province of Champaign became synonymous with sparkling wine.

### BIRTH OF SPARKLING WINE IN GEORGIA

Production of sparkling wine in Georgia is associated with the name of Bagrationis and Ivane Bagration-Mukhraneli in particular, who was born in 1812. Similar to this great uncle Petre Bagrationi, Ivane Bagrationi pursued military career and received a great education. However, he was also interested in vine growing and was extensively involved in developing and taking care of his ancestral lands. Soon after he was enlisted in military reserve, he started focusing his efforts on agriculture, which turned out to be quite successful. According to historic sources, in 1884 he generated income of more than 200 000 manetis<sup>1</sup>, while his cellars housed more than 50 000 buckets of wine. He had vineyards in Tbilisi, Gori and Dusheti mazras<sup>2</sup>. Main storages of wine were located in Mukhrani and Dighomi. There was a cellar and storages for wine making in the residential

<sup>1</sup> The currency of Georgia at that time.

<sup>2</sup> Administrative unit.





ოტო ფონ რიბენტროპმა მოლაპარაკებებისთვის მიიწვია ჰენკელის ცნობილ ღვინის ქარხანაში, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მოლოტოვზე. მოსკოვში დაბრუნებულმა მინისტრმა ნანახის შესახებ სტალინს უამბო. გადანყდა, რომ ე.წ. შამპანურის ქარხანა თბილისში აშენებინათ. 1937 წელს მშენებლობა დასრულდა და ქარხანამ „სოვეცკოე შამპანსკოე“ გამოშვება დაიწყო, რომელმაც მალე მოიპოვა პოპულარობა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. ქარხნის წარმოებამ პიკს გასული საუკუნის 80-იან წლებში მიაღწია, როცა გაიყიდა ცქრილა ღვინის 24 მილიონი ბოთლი, რაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით ბაზრის 15%-ს შეადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1997 წელს, ქარხანა ამერიკულმა საინვესტიციო ჯგუფმა შეიძინა. სწორედ აქედან იწყება თანამედროვე „ბაგრატიონი 1882“-ის ისტორია, რომელიც დღეისათვის ცქრილა ღვინის წარმოებაში ლიდერი კომპანიაა საქართველოში.

### ქართული მეფური ტრადიციის გაგრძელება

კომპანია „ბაგრატიონი 1882“ ყოველწლიურად ქვეყანაში ერთ მილიონამდე ბოთლ ცქრილა ღვინოს ყიდის. ამას ემატება 700 ათასამდე ბოთლი, რომელიც კომპანიას ექსპორტზე რამდენიმე ქვეყანაში გააქვს. საქართველოში „ბაგრატიონს“ ბაზრის 80-85% უკავია. ეს შთაბეჭდილი რიცხვები მას დარგის ლიდერად აქცევს.

„ბაგრატიონი 1882“-ის ისტორია ორ ეტაპად იყოფა –

კომპანია „ბაგრატიონი 1882“ ყოველწლიურად ქვეყანაში ერთ მილიონამდე ბოთლ ცქრილა ღვინოს ყიდის, ექსპორტზე კი 700 000 ბოთლი გააქვს.

Bagrati 1882 sells up to one million bottles of sparkling wine in the country and exports up to 700 000 bottles abroad per year.

palace in Mukhrani. Ivane Bagrationi was producing wine according to a traditional Georgian method and keeping it in Kvevri<sup>3</sup>. He was also sparkling wine according to European method. At that time these were the following varieties of grapes used in production of sparkling wine in Europe: Chardonnay, Pinot, Aligoté and Riesling. Ivane Bagrationi selected Georgian grape varieties with similar acidity, in particular Chinebuli, Goruli Mtsvane, Tsitska and Tsoikauri from which he started producing sparkling wine according to French method which entails fermentation in individual bottles. Georgian sparkling wine with distinct and special taste was awarded the highest award of State Emblem at international exhibition in St. Petersburg in 1882. The date 1882 has been kept on the label of *Bagrationi 1882* ever since, as a symbol of start of international recognition of Georgian sparkling wine. Notably, this is the name registered as a trademark in Sakpatenti. Therefore, it is safe to say that the trademark is the most famous Georgian brand in the production of sparkling wine.

<sup>3</sup> An earthenware vessel.



1997-2006 წლები და 2006 წლიდან დღემდე. 2006 წელს კომპანიის შემდგომ განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთში ქართული პროდუქციის აკრძალვამ. ვინაიდან ამ დროისათვის „ბაგრატიონის“ ღვინის უდიდესი ნაწილი რუსეთში ექსპორტზე გადიოდა, ემბარგომ კომპანია მოულოდნელი გამოწვევების წინაშე დააყენა, პირველ რიგში ეს ახალ ბაზრებზე გასვლა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება იყო. „ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო დაგვემკვიდრებინა ისეთი კომპანიის სახელი, რომელიც უშვებს მაღალი ხარისხის პროდუქციას“, – აცხადებს კომპანიის მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორი ირაკლი წერეთელი.

2006 წელს მოხდა კომპანიის რებრენდინგი, შეიცვალა მენეჯმენტი და განვითარების სტრატეგია. „ბაგრატიონმა“ საკუთარი სანერგების და ვენახების გაშენება დაიწყო. დღეისათვის მას უკვე აქვს 200 ჰექტარი ფართობის ვენახი ქართლსა და იმერეთში. კომპანიაში ამბობენ, რომ ეს არის საუკეთესო მიკროზონები იმ ყურძნის ჯიშებისათვის, რომელსაც „ბაგრატიონი“ იყენებს. ქართლში მოჰყავთ ჩინური და გორული მწვანე, იმერეთში – ციცქა. დამატებით „ბაგრატიონში“ იყენებენ, ასევე, საფერავსა და თავკვერს.

კომპანიის კუთვნილი ვენახების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარეობს ახალი მიწების განაშენიანება, რისთვისაც „ბაგრატიონი“ საკუთარ მეურნეობებში გამოყვანილ ნერგებს იყენებს. ვენახებში ადგილობრივი მოსახლეობა მუშაობს, რომელსაც კომპანია უფორმებს ხელშეკრულებებს კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად.

ვენახების გაშენების პარალელურად, 2007 წლიდან ახალი ბაზრების მოძიება დაიწყო. „ავირჩიეთ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება ექსპორტისთვის. მათ შორის პირველ ადგილზე დგას უკრაინა, სადაც ქართული ღვინის ცნობადობა მაღალია და ჩვენი პროდუქციის გაყიდვები ყოველწლიურად იზრდება. ამავე დროს, დავინწყეთ ძალების მოსინჯვა კიდევ რამდენიმე ბაზარზე, ესენია: აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი“, – აცხადებს ირაკლი წერეთელი.

Another strong impetus for the production of sparkling wine in Georgia occurred in the Soviet period when during his visit to Germany Foreign Minister Vyacheslav Molotov was invited by his German colleague Otto von Ribbentrop to a famous Henkel wine factory for negotiations, which impressed Molotov very much. Upon his return to Moscow, he told Stalin about what he had seen and consequently, it was decided to build a factory for the production of sparkling wine in Tbilisi. Construction of the factory was finished in 1937 and it started producing *Sovetskoye Shampanskoye* which quickly became popular in Soviet countries. Production soared in 1980s when 24 million bottles of sparkling wine were sold amounting to 15% of the market share. Following collapse of the Soviet Union, the factory was brought by an investment group in 1997. This is when the history of contemporary Bagrationi 1882 begins which has now become a leading company in the production of sparkling wine in Georgia.

### CONTINUING GEORGIAN ROYAL TRADITIONS

*Bagrationi 1882* sells up to one million bottles of sparkling wine in the country and exports up to 700 000 bottles abroad per year. In Georgia it holds an impressive 80-85% market share, which makes it the leader in production.

The history of *Bagrationi 1882* can be divided into several stages – from 1997 to 2006 and from 2006 to present. Prohibition of Georgian exports to Russia in 2006 played a crucial role in further development of the company as most part of Bagrationi wine was exported to the Russian market. With imposition of the embargo Bagrationi faced unexpected challenges, which first and foremost included accessing new markets and improving quality of production. “It was important to establish for us the name of a company that produces a high quality product” – says Marketing and Sales Director Irakli Tsereteli.

„ბაგრატიონის“ პროდუქცია ინარმოება მსოფლიოში გავრცელებული ცქრიალა ღვინის დამზადების ორგვარი მეთოდით. პირველი არის ტრადიციული, ფრანგული ანუ ბოთლური მეთოდი, რომლითაც ამზადებენ შამპანში ცქრიალა ღვინოს. ამ დროს ღვინის მეორადი დუღილი ანუ ფერმენტაცია ბოთლში მიმდინარეობს. ხდება მისი დაძველება 1-დან 3 წლამდე. მეორე არის რეზერვუარული მეთოდი, როდესაც ღვინის ფერმენტაცია დიდ, 25 ტონიან რეზერვუარებში მიმდინარეობს და პროცესი 6-დან 9 თვემდე გრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ცქრიალა ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა. მეორადი დუღილის ანუ ფერმენტაციის დროს სასმელში ქიმიური რეაქციები მიმდინარეობს, საფუარი სატირაჟო ლიქიორთან შედის რეაქციაში, შექარი სპირტად იქცევა. პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნახშირორჟანგის გაზი კი ღვინოში იხსნება და ღვინის ცქრიალს წარმოქმნის.

Bagrationi uses two methods for production of sparkling wine widespread throughout the world. The first one is a traditional French method used in Champaign, i.e. conducting a second fermentation in individual bottles and the wine is aged from one to three years. Another method is a reservoir method with length from 6 to 9 months, followed by bottling the sparkling wine. The process of second fermentation involves chemical reactions when yeast is mixed with the liquid and sugar turns into spirits. Carbonic gas emitted as a result of the process dissolves in the liquid and forms sparkling of wine.





ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში უკვე რამდენიმე წელია იყიდება „ბაგრატიონის“ მიერ წარმოებული ქართული ცქრილა ღვინო. როგორც კომპანიაში განმარტავენ, ეს ბაზრები მზარდია და იქ ყოფნა კომპანიისთვის გრძელვადიანი პერსპექტივაა. საინტერესოა ისიც, რომ ყველა უცხოურ ქვეყანაში, ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება პროდუქციის რეკლამირება და ცნობადობის ამაღლება. მაგალითად, ჩინეთში, რომელიც მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე უდიდეს ბაზარს წარმოადგენს, „ბაგრატიონის“ პარტნიორი კომპანია ქართულ ღვინოსთან ერთად პრომოუშენს საქართველოსაც უწევს, როგორც ღვინის სამშობლოს, სადაც ამ სასმელის წარმოებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ასევე, მიმდინარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ტაივანის, სინგაპურის, ჰონგ-კონგისა და იაპონიის ბაზრების შესწავლაც.

კომპანიაში პრიორიტეტულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებიც, სადაც ქართულ ღვინოს გაცილებით უკეთ იცნობენ. ამჟამად, ბაგრატიონი აზერბაიჯანში ახორციელებს ექსპორტს, იგეგმება, ასევე, ყაზახეთის ბაზარზე შესვლაც. ექსპორტის მხრივ ლიდერ ქვეყნად უკრაინა რჩება, სადაც 2012 წელს 600 ათასამდე ბოთლი „ბაგრატიონი“ გაიყიდა.

კომპანიის მენეჯმენტში განმარტავენ, რომ მათი ბრენდისთვის მთავარია მაღალი ხარისხი, დაწყებული ვაზის ნერგის გამოყვანიდან დამთავრებული ბაზარზე მზა პროდუქციის გატანით. „წარმოების ყველა ეტაპი საგულდაგულოდ კონტროლდება, რომ ხარისხი ყველგან იყოს გარანტირებული. ამას გარდა, ჩვენი ბრენდის წარმატების საწინდარი კიდევ რამდენიმე ფაქტორია. კერძოდ, ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ ფართო არჩევანს როგორც გემოს, ასევე ფასის მხრივ“ – აცხადებს ირაკლი წერეთელი. „ბაგრატიონი“ ამჟამად 12 სხვადასხვა სახეობის ცქრილა ღვინოს უშვებს, რაც შესაძლებელს ხდის განსხვავებული გემოვნების მომხმარებლის

Following its rebranding in 2006, the company's management and development strategy was changed. Bagrationi started its own nurseries and vineyards. Today the company owns 200 hectares of vineyards in Kartli and Imereti. They say in the company that these are the best micro-zones for particular varieties of grapes used by Bagrationi. Chinuri and Goruli Mtsvane, Tsitska and additionally Saperavi and Tavkveri are used in Bagrationi sparkling wine.

The number of vineyards owned by the company is growing annually, as they are developing new land plots with the use of plants grown in its own nurseries. Vineyards provide jobs for local population who work for the company as contract based employees.

In addition to growing vineyards the company has been looking for new markets to access since 2007. “We have identified several priority destinations for export, including Ukraine which is on top of our list due to high awareness of Georgian wine, and our production sales in Ukraine grow annually. At the same time we have started testing the ground in the USA, Germany, Great Britain and China” – says Irakli Tsereteli.

Sparkling wine produced by Bagrationi has been sold for several years now in these countries. They clarify at the company that these markets have a growing potential and provide a long-term perspective for the company. Notably, the product is advertised and awareness campaigns are conducted in foreign countries in view of the local setting. For instance, in China which is the largest market due to the number of its population, in addition to the Georgian wine Bagrationi partner company also promotes Georgia as the cradle of wine with a centuries' long history of wine making. They are also studying markets in South-Eastern Asia, including Taiwan, Singapore, Hong Kong and Japan.



დაკმაყოფილებას. ამას გარდა, კომპანიის პროდუქციაში არის ფასის მხრივ ყველასთვის ხელმისაწვდომი ცქრილა ლინო და პრემიუმ კლასის პროდუქციაც, რომელიც განსაკუთრებული სტატუსის მომხმარებელზეა გათვლილი და გაცილებით ძვირი ღირს.

კომპანიაში ამაყობენ უამრავი ჯილდოთი, რომელიც „ბაგრატიონ 1882“-ს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე აქვს მიღებული. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო მასშტაბის კონკურსებში მონაწილეობის მიღება კომპანიამ 2006 წლიდან განახლებული სტრატეგიის ფარგლებში დაიწყო. მანამდე „ბაგრატიონის“ პროდუქცია ძირითადად პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობდა და იმარჯვებდა.

„ბაგრატიონი 1882“ 2009 წლიდან ფლობს ხარისხის მენეჯმენტისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატს (ISO 22000:2005). მისი პროდუქციის მაღალ ხარისხს თანამედროვე, უახლესი დანადგარებით აღჭურვილი ქარხანა და გამოცდილი ქართველი და უცხოელი თანამშრომლები უზრუნველყოფენ.



The company also views Post-Soviet countries as priority markets with a much better recognition of Georgian wine. Currently Bagrationi is exporting to Azerbaijan and they are planning to access Kazakhstani market. In terms of sales volumes, Ukraine remains to be a leader as up to 600 000 bottles of Bagrationi were sold there in 2012.

The company management explains that quality is most important for their brand, starting from growing vine plants all the way to getting the product to the market. "All stages of production are carefully supervised in order to ensure that quality is guaranteed in every way. Furthermore, success of our brand has also been caused by a number of factors. In particular, we offer a broad selection to consumers both in terms of flavor as well as in terms of price" – says Irakli Tsereteli. Bagrationi currently produces twelve different types of sparkling wine, which makes it possible to meet different taste of consumers. Furthermore, a broad selection of products includes from the most affordable to the premium class product which is intended for special consumers and is much more expensive.

The company takes pride in a number of awards that Bagrationi 1882 has won at a number of international competitions. Notably, the company started participating in world-class competitions since 2006 in frames of its updated strategy. Prior to that, it participated and won competitions and exhibitions mostly in Post-Soviet countries.

Bagrationi 1882 has been the holder of the quality management and food safety standard certificate ISO 22000:2005. Quality of production is ensured by the factory equipped with contemporary equipment and its experienced Georgian and foreign employees.

#### სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება საქპატენტში.

#### TRADEMARK

Trademark is a sign or combination of signs that can be represented graphically and is capable of distinguishing the goods or services or both of one undertaking from those of other undertakings. Trademark shall be registered at SAK-PATENTI.



# დაიჯესტი DIGEST

ლიკა ბერაია

LIKA BERAIA

## INNO GEORGIA – ახალი შანსი ქართული ინოვаторებისთვის

სახელი „გამომგონებელი“ უკვე ბევრს ნიშნავს – გამუდმებული ძიების პროცესი წარმატებული იდეების ხორცშესხმით მთავრდება. ადამიანი ყოველთვის ახლის ძიებაშია და ცდილობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვით გაიმარტივოს ცხოვრება. ყოველ ახალ გამომგონებას მრავალი წლის სამეცნიერო კვლევა უძღვის წინ. ახალი პროექტის განხორციელება კი, თავის მხრივ, ფინანსებთან, მარკეტინგთან და ბევრ სხვა პირობასთან არის დაკავშირებული.

გასულ წელს საქპატენტი უწყებაში შექმნა სპეციალიზებული დეპარტამენტი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის მიმართულებით. შემდგომ კი, სპეციალური პროექტების განხორციელების მიზნით, საქპატენტის ინიციატივითა და საგანმანათლებლო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით დაფუძნდა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრი. ცენტრის პირველი პროექტია კონკურსი „Inno Georgia“. ის დაეხმარა საქართველოში მოქმედ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ინოვაციური საპროექტო წინადადებები, მაგრამ მათ განსახორციელებად არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და ფინანსური სახსრები. მთავარი მიზანი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ტექნიკური დახმარებისა და ბიზნესმხარდაჭერის გაწევა, ასევე, ტექნოლოგიებზე წვდომის გაუმჯობესება და მათი ეფექტურობის გაზრდა იყო. კონკურსის მიმდინარეობამ და შედეგმა აჩვენა, რომ საქართველოში ინოვაციური კულტურის დამკვიდრება და ტექნოლოგიების ტრანსფერი კვლევითი სფეროდან ეკონომიკის რეალურ სექტორში უკვე რეალობა ხდება.

კონკურსი საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრმა საერთაშორისო პარტნიორის – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით 15 ოქტომბერს გამოაცხადა. 1 თვის განმავლობაში შერჩევის პროცესში გამოვლინდა ის კომპანიები, რომლებიც თავიანთი პრობლემების გადაწყვეტის გზებს ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ეძებენ, აქვთ სურვილი განახორციელონ კვლევისა და განვითარების ერთობლივი პროექტები ადგილობრივ ან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, ან გეგმავენ მომავალში განავითარონ და მომხმარებელს შესთავაზონ ახალი, გაუმჯობესებული პროდუქცია და მომსახურება.

მაღალი რანგის ჟიურის მიერ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით, 30 ნომბერს 5 გამარჯვებული გამოვლინდა. ე.წ. „შორტ ლისტში“ მოხვდნენ კომპანიები სასოფლო-სამეურნეო, საკვები პროდუქციის, გადამამუშავება-შეფუთვის, ლოგისტიკის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და ტურიზმის სფეროებიდან.

## INNO GEORGIA – NEW CHANCE FOR GEORGIAN INNOVATORS

Being an innovator means a lot – a constant process of search ends with realization of successful ideas. People are always searching for something new, trying to simplify their everyday lives by introducing new technologies. Inventions are usually preceded by years of scientific research, while implementation of a new project is related with finances, marketing and a number of other conditions.

Last year a department specializing in transfer of technologies and innovations was set up at Sakpatenti, followed by founding of the Center for Transfer of Technologies and Innovations with the aim of implementing special projects in the future. The initiative of Sakpatenti was realized with participation of educational and business sectors. Under the auspices of the very first project of the Center, *Inno Georgia* competition, companies in Georgia with innovative proposals but lack of knowledge and financial resources received assistance. Primary objective is to provide technical support and business assistance to micro, small and medium enterprises, as well as to improve access to technologies and their effectiveness. The course of the competition as well as its outcomes have suggested that introduction of innovative culture in Georgia and transferring technologies from the research field to the actual field of economy is becoming a reality.

The competition was announced on October 15, 2012, by the Georgian Technology Transfer Center with support from the German Society for International Cooperation (GIZ) GmbH. Within a month the competition identified companies seeking new technologies for solution to their problems, willing to implement joint research and development projects with local or international universities or planning to develop and offer to consumers new and improved products or services.

A high-level jury identified 5 winners according to previously developed criteria. The short list included companies in the fields of agriculture and foodstuff, processing and packaging, logistics, transportation, construction and tourism.





გამარჯვებულ კომპანიებს კონკურსის ფარგლებში ცენტრი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს და ასევე პროექტის თანადაფინანსებით უზრუნველყოფს დახმარებას – ერთ კომპანიაზე მაქსიმუმ 20 000 ლარის ოდენობით.

**მულტიფუნქციური ავტომატიზირებული  
საქარგი "ACE-1206 Feiya"  
განმცხადებელი – შპს „უნისტილი“**

ერთდროულად 6X12 ფერით ქარგვა, ნემსის 1000 სვლა ერთ წუთში – ავტომატიზირებული საქარგი შედგება დანადგარზე მოთავსებული 6 თავისაგან. თითოეულ თავს, რომელზეც 12 ნემსია, აქვს ავტონომიური მართვის საშუალება და, ასევე, თხევად-კრისტალური ეკრანით აღჭურვილი მართვის პანელი და USB წამკითხველი. გამოიყენება უმაღლესი ხარისხის მაღალი გარჩევადობის ნაქარგებთან სამუშაოდ, შეუძლია ფერების ავტომატიზირებული და ავტომატიზირებული მოჭრა. ინოვაციური აპარატი ქარგავს მგრძნობიარე თხელ, ჩვეულებრივ, საშუალო და სქელ მატერიებზე და მასალებზე, ასევე, ე.წ. ზამშზე და ტყავზე. ამ დანადგარით შესაძლებელია ქუდებზე და კეპებზე ქარგვაც.

დანადგარის ზომა: 3450X920

წონა: 1700 კგ.

ფასი: 20 000 ევრო

აქვს 20 წლიანი გარანტია, 10 წელი მექანიკური გარანტია, 2 წელი ელექტრო გარანტია.

The winning companies will receive assistance under the auspices of the competition and a co-funding for a project (maximum of GEL 20 000 per company).

**MULTIFUNCTIONAL AUTOMATED  
EMBROIDERING MACHINE ACE-1206 FEIYA  
Applicant – "Unistyle" Ltd**

The machine has the capacity of embroidering with 6X12 colors simultaneously, 1000 punch of needles per second – automated embroidering machine consists of six heads, with 12 needles on it with the capacity of autonomous management. It also has an LCD control panel and a USB reader. It is used to work on high-resolution embroideries. It can change colors and cut automatically. The innovative machine is able to embroider on sensitive, thin as well as standard, medium and thick matters, as well as on suede and leather. It can also be used to embroider on hats and caps.

Size of the machine: 3450X920

Weight: 1700 kg

Price: EUR 20 000

20 years of warranty, 10 years of mechanical warranty and two years of electric warranty.





ფოტო: გოგა ჩანადირი  
Photo: Goga Chanadiri

**ქვევრის წმენდის ხარხი იმპრისიული  
ულტრაბგერითი კავიტაციის გამოყენებით  
განმცხადებელი – შპს „სიმბოლ სტუდიო“**

ტრადიციული ქართული ღვინის ქვევრის შიდა ზედაპირის წმენდის პროცესის გამარტივება უნიკალური დანადგარის საშუალებით – ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიურ პროცესში ჭურჭლის შიდა ზედაპირის რეცხვა ყველაზე შრომატევადი და საპასუხისმგებლო პროცესია. ბევრმა მსხვილმა თუ მცირე მენარმემ უარი თქვა ქვევრის გამოყენებაზე მხოლოდ ამ პროცესის სირთულის გამო. წინა წელს დამზადებული ღვინის გადმოღების შემდეგ, ქვევრის კედლებზე რჩება ნარჩენები – ღვინის ქვა, საღებავი ნივთიერებები და ლექი, რაც საფრთხეს უქმნის ქვევრის ღვინის ხარისხს. ინოვაციური ულტრაბგერითი კავიტაციის ეფექტის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ტრადიციული ქართული ღვინის ქვევრის შიდა ზედაპირის წმენდის პროცესის გამარტივება. გასასუფთავებელ ქვევრში, რომელშიც ჩასხმულია სუფთა წყალი, ჩაიდირება ულტრაბგერითი გარდამქმნელი, რომლის მიერ გამოსხივებული ულტრაბგერა წარმოქმნის კავიტაციურ ეფექტს. კავიტაციის ზემოქმედებით კი მოხდება ქვევრის შიდა ზედაპირზე მიმხმარი ნალექის მოცილება. ეფექტის ინტენსიფიკაცია შესაძლებელია წყლის pH-ის გაზრდით, წყალში ბუნებრივი ფუძე რეაქციის ნივთიერებების, მაგალითად, კირის ან ნაცარწმენდილის დამატებით. პროექტის ღირებულებაა 22 100 ლარი.

**THE METHOD OF CLEANING KVEVRI<sup>1</sup>  
THROUGH ULTRASOUND CAVITATION**

**Applicant – “Symbol Studio” Ltd**

**Simplifying the process of cleaning the inside of Georgian traditional vessel for storing wine with the help of a unique equipment** – the most labor-intensive process in fermentation and storage of wine in Kvevri is cleaning of the inside surface of the vessel. Many small and medium size businesses decided against using Kvevri solely due to the complexity of the cleaning process. After the vessel is emptied from the wine from last year, certain residue remains on its inside walls – wine stones, dye substance, sediment. The dirt endangers quality of wine. The use of innovative ultrasound method of cavitation will make it possible to simplify the process.

The new method entails dropping an ultrasound converter in Kvevri filled with clean water. The ultrasound radiated from the equipment will trigger an effect of cavitation. As a result, dirt dried on the walls of the vessel will be removed. The effect can be intensified by raising levels of water pH by adding natural substance for base reaction with water, e.g. lime or ashes. Project cost is GEL 22 100.

<sup>1</sup> An earthenware vessel for storage of wine.



**ახალი ტიპის ხაჭოს წარმოება  
ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვის გზით  
განმცხადებელი – შპს „ათინათი“**

ხაჭოს წარმოება სპეციალური ტექნოლოგიით, რომელიც აბსოლუტურად ინოვაციურია და არ გააჩნია ანალოგი ქართულ და უცხოურ ბაზარზე – იგი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისა და მოხუცებისათვის. ახალი ინოვაციური პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისი ტექნოლოგიის დანერგვისათვის, ასევე, არსებული პროდუქციის ხარისხის გაზრდისათვის აუცილებელია ახალი მაღალხარისხოვანი ტექნოლოგიური დანადგარების შეძენა (ორსაფეხურიანი ჰომოგენიზატორი, სახარში ქვაბი მექანიკური ამრევით, ლაბორატორიული დანადგარი – ლაქტოსკანი და ორთქლის ქვაბი) ხაჭოს წარმოების ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, დაპატენტება და ახალი ინოვაციური ხაჭოს პროდუქტის წარმოება საწარმოს საშუალებას მისცემს: გააფართოვოს პროდუქციის ასორტიმენტი, აამაღლოს წარმოებული პროდუქციის ხარისხი და, პარალელურად, შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებების გატარებით, 5 წლის განმავლობაში გაზარდოს გაყიდვების მოცულობა 200%-ით, პროდუქციის წილი ბაზარზე კი – 20%-ით და, შესაბამისად, აამაღლოს თავისი კონკურენტუნარიანობა.

**PRODUCING A NEW TYPE OF COTTAGE CHEESE  
BY MEANS OF INTRODUCING INNOVATIVE  
TECHNOLOGIES**

**Applicant – “Atinati” Ltd**

**Production of cottage cheese with the use of innovative technologies which nothing compares to in the Georgian or foreign market** – it is particularly beneficial to children and the elderly. To produce the innovative product and introduce technologies that is needed, it is as well as to improve quality of the product purchase of new high quality technological equipments is necessary (a two-step homogenizer, a boiling pot with automated mixer, lab equipment – lactoscan and a steaming pot). Introducing and patenting the new technology for production of cottage cheese, and the production of new, innovative product will enable a company to diversify assortment of its products, improve quality of production and boost its sales with 200% by carrying out relevant marketing measures, and increase its market share with 20%. Subsequently competitiveness will be improved.





## ასკილის ნაყენი

### კონსერვანტების გარეშე

განმცხადებელი – შპს „ბიოპროდუქტ კომპანია“

„ბიოპროდუქტ კომპანია“ ჯერჯერობით ერთადერთ პროდუქტს – ასკილის ნაყენს ან ასკილის წვენს აწარმოებს, თუმცა, მომავალი წლის შემოდგომიდან იგეგმება ველური შინდის წვენის წარმოებაც. ინოვაცია უნიკალურია იმით, რომ კომპანია ყოველ ჯერზე სათანადოდ არჩევს სხვადასხვა ჯიშის ასკილს, ურევს ერთმანეთში გარკვეული პროპორციით და, რთული ტემპერატურული რეჟიმის შედეგად, იღებს სასიამოვნო პიკანტურ გემოს. შემუშავებული ტექნოლოგია შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნებულ იქნეს ასკილის ყველა ბუნებრივი მახასიათებელი. ამ პროდუქტმა უკვე მოიპოვა ადგილობრივი და საერთაშორისო აღიარება. მიმდინარე წელს „ასკილის წვენმა“ გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ყველაზე პრესტიჟულ ბიზნეს დაჯილდოებაში – „მერკური 2012“ ნომინაციაში „უცხოეთის ვარსკვლავი – წარმატებული საექსპორტო პროდუქტი“. პროდუქტის უნიკალურობა აღიარებულ იქნა ბრიტანეთშიც.

## BEVERAGE MADE OUT OF SWEETBRIER, WITHOUT ANY PRESERVATIVES

Applicant – “Bio-product Company” Ltd

The Bio-Product company is now producing an only type of product – beverage made out of sweetbrier. However, starting from the next fall they are planning to incorporate making of cornel juice in their production. The innovation is unique in a way that the company carefully selects different varieties of sweetbrier, mixes them together by regulating specific proportions and a temperature mode difficult to attain, and receives a pleasant savory flavor. The new technology will enable to preserve all natural characteristics of sweetbrier. The product has already been recognized nationally and internationally. In 2012 it won the most prestigious business awards in Georgia, Mercury 2012, for the nomination Foreign Star – Successful Export Product. Uniqueness of the product has also been recognized in Britain.





**განახლებადი ენერგია  
სასოფლო-სამეურნეო  
პროდუქციის სანარმოებლად**


**განმცხადებელი – შპს „აბსო“**

სათბურების მინას შეცვლის უნივერსალური სასათბურე ფირი და, განახლებადი ენერგიის გამოყენების გზით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება იქნება შესაძლებელი. საქართველოში სათბურებში ამ სახის ბიოპროდუქტი არ იწარმოება, მსოფლიოში კი მათზე მოთხოვნა იზრდება. გამოგონება ითვალისწინებს სათბურებში მინის ნაცვლად სასათბურე ფირის ე.წ. „შალის“ გამოყენებას. ის საუკეთესოა მსოფლიოში და წარმოადგენს 5-ფენოვან, 9 კომპონენტოვან სპეციალურ შენადნობს, რომელიც დამზადებულია სპეციალური ტექნოლოგიით საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ უნივერსალური სასათბურე ფირის გამოყენებით გათბობის ხარჯი მცირდება 35-50%-ით, დრო და შრომა იზოგება 70-90%-ით, მუშახელი და მასთან დაკავშირებული ხარჯები – 50-80%-ით, შხამ-ქიმიკატების გამოყენება 80%-ით მცირდება, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ გამოირიცხება. სათბურების მოსავლიანობა იზრდება ორჯერ და, ამევე დროს, შესაძლებელი იქნება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. გამოგონება სამეცნიეროს გარდა, ეკონომიკურ შედეგებზეც არის გათვლილი. კომპანიის მიზანია მინიმუმ ორჯერ გაზარდოს სათბურის ფართობი, ხოლო მინიჭესის სიმძლავრე კი აიყვანოს 250 კვტ-მდე, რაც, არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით, შემოსავლების 500 000 ლარამდე, ხოლო ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციის გამოყენებით კი უფრო მეტად გაზრდის საშუალებას იძლევა.

**RENEWABLE ENERGY FOR THE  
PRODUCTION OF AGRICULTURAL PRODUCTS**

**Applicant – “Abso” Ltd**

Greenhouse glass will be replaced with universal plastic glazing, making it possible to produce organic products with the use of renewable energy. There are no greenhouses in Georgia that produce such bio-product, whereas demand is growing throughout the world. The invention envisages use of a greenhouse film for replacing greenhouse glass – material with five layers and 9 components produced by means of a special technology and in view of climatic condition of Georgia. In practice it has been confirmed that greenhouse glazing decreases cost of heating with 35-50%, saving 70-90% of labor, 50-80% of workforce and related costs, decreases the need to use chemicals with 80% and in some cases, chemicals will no longer be needed. It boosts crop capacity of greenhouses two times. In addition, this will also allow organic production. In addition to scientific the invention will also have economic implications. Purpose of the company is to increase greenhouse area two times, raise capacity of mini hydropower station all the way up to 250 kilowatts, which will make it possible to boost the income from the use of the existing technologies up to GEL 500 000 or more in an event of using the innovation.







„30ნც არ უნდა იყო მანდ...“  
“WHOEVER YOU MIGHT BE...”

ელისო ჯარიშვილი  
ELISO JARIASHVILI

ცრუმორწმუნე კიდევაც რომ არ იყო, მაინც ფიქრობდა ნერვიულობს თუ ვინ დააკაკუნებს კარზე 31 დეკემბერს, ღამის 12-ს რომ გადასცდება. გაინტერესებს, რას მოიტანს ოჯახში იმ ადამიანის ფეხი, რომელიც პირველი გადმოაბიჯებს ზღურბლს. მეკვლე ბევრი მყოლია და მეც ბევრჯერ ვყოფილვარ სხვისი მეკვლე, ეს კარგი და უძველესი ტრადიცია ახალი წლის თანმდევი.

ახალი წელი ის დროა, როცა სახლში, 1 იანვარს მაინც, ყველა ერთად იკრიბება. დღე, როცა, ასევე, ტრადიციაა საახალწლო ტელეეთერისთვის ცალი თვალის მიდევნება, მეორე ალბათ საცივისა და გოზინაყისკენ მიგვირბის.

პატარაების ოჯახში ახალი წელი და მეკვლეობის ტრადიცია განსაკუთრებულად უყვართ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის მთავარი მეკვლე და ცნობილი ქართველი რეჟისორი უკვე 30 წელია ცოცხალი აღარ არის, გურამ პატარაიას „კუჩხი ბედინერი“ ყოველ 1 იანვარს ახალი წლის დღესასწაულს ალამაზებს.

სოფო პატარაიას ახალი წლის დადგომამდე ვესაუბრეთ. რეჟისორის შვილს კარგად ახსოვს 35 წლის წინ კომედიური მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებები. ის ატმოსფერო, რომლის მთავარი მოტივატორი გურამ პატარაიას შემოქმედებითი ხასიათი და იუმორი იყო. გადაღებები არა სამეგრელოში, როგორც ეს ფილმის ყურებისას გგონია, არამედ პავილიონში მიმდინარეობდა. მსახიობთა შემადგენლობა კი განმსაზღვრელი იყო დაუფინყარი სახეების შესაქმნელად.

ფილმის შინაარსი, დარწმუნებული ვარ, ყველას კარგად ახსოვს. ფილმი ცოტა სიყვარულზეა, ცოტა პრობლემებზე, ცოტა ილბაღზე, ცოტა ირონიზე, ცოტა ახალ წელზე და, ყველაზე მეტად, ბროლიაზე, რომელიც მოულოდნელი ილბაღის სიმბოლოდ იქცა. ფილმში ასეა: შეკვეთილი მეკვლის ნაცვლად, პრობლემების წინაშე

Even if you don't believe in superstitions, you're most likely to be nervous thinking about who will knock on your door on December 31, when it pasts 12:00am. You are thinking about the person who first crosses the threshold of your house and what he might bring. I've had Mekvles<sup>1</sup> and I've been Mekvle to others. This is a positive and the oldest tradition associated with the New Year.

New Year is the time that brings families together; the day when everyone watches New Year programs on TV, eyeing Satsivi and Gozinaki at the same time.

The Pataria family particularly favors the New Year and the tradition of having a Mekvle. Although it has been more than 30 years since the main Mekvle of the family and a renowned Georgian director, Guram Pataria has passed his film *Kuchkhi Bedineri* helps us get in the celebratory New Year spirit every year on January 1.

We interviewed Sopo Pataria before the New Year. The director's daughter has clear memories of making a short comedy 35 years ago; the atmosphere mostly charged with Guram Pataria's humor and soft character. The movie was filmed in a pavilion instead of Samegrelo, as it may seem to be. The cast was defining in creating unforgettable characters.

I'm confident everyone remembers synopsis of the movie – a little about love, a little about problems, luck, irony, New Year and mostly about Brolia which has come to symbolize an unexpected luck. Instead of a Mekvle who the family had commissioned in advance, the first one to cross the threshold is a dog. To Kochia and Tsutsa the beginning of the New Year is marked by their daughter's wedding and thus, a dog named Brolia becomes a Mekvle with the luckiest foot.

<sup>1</sup> In Georgian tradition, the first person to cross the threshold of a home on New Year's Day and a bringer of good fortune for the coming year.



მყოფი ოჯახის კარში ძალღი შემოდის. კოჩიასა და ცუცასთვის წელი ქორწილის წინ მიტოვებული ქალიშვილის გათხოვებით იწყება და სოფლის მთავარი ფეხბედნიერის ტიტულს დამსახურებულად ძალღი ბროლია იკავებს.

ისტორიის შემქმნელი ოჯახში მეკვლეობას არავის უთმობდა. „ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული არის ის, რომ სადაც შევალ ახალ წელს, ყველა უყურებს ამ ფილმს. ყველასთვის ძალიან საყვარელი ფილმია და ეს ყველაზე დიდი აღიარებაა, რომ არცერთი ახალი წელი კუჩხი ბედნიერის გარეშე არც მახსოვს“. სოფო პატარაია იმასაც იხსენებს, თუ როგორ გაჩნდა ფილმის შექმნის იდეა და როგორ დაითანხმა რეჟისორმა არქიტექტორი მთავარი როლის შესრულებაზე: „თვითონ იყო მეკვლე. სულ, ამბობდა რომ არაჩვეულებრივი ფეხი მაქვსო. ეს თემაც მახსოვს საიდან აღმოცენდა. ირაკლი (აბაშიძე) და მამა ისხდნენ და აპირებდნენ მორიგ ექსპედიციაში წასვლას. ერთმანეთს ეხუმრებოდნენ და ხუმრობა-ხუმრობაში გაჩნდა მეკვლეობის თემა. იყო კიდეც ერთი საინტერესო ეპიზოდი, როცა ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელ ჯუნა მიქაბაძეს, პროფესიით არქიტექტორს, შეუჩნდა მამაჩემი გინდა თუ არა უნდა გათამაშო ფილმშიო. მაშინ ჯუნას გარკვეული ფინანსური პრობლემები ჰქონდა. მამაჩემს უთხრა, – რას ჩამაცივდი, არ ვარ მსახიობიო. ამის შემდეგ ფილმის დირექტორს მამამ სთხოვა, ჯუნასთვის ორმაგი გამიფორმო, ძალღთან თამაშისთვის პრინციპით „работа со зверем“ (მსახიობებს, ვისაც ლომებთან ან ვეფხვებთან უწევდათ თამაში, ორმაგ ჰონორარს უხდიდნენ).“

ციალა გურგენიძისთვის ფილმში „კუჩხი ბედნიერი“ პირველი კინოროლი იყო. ცუცა, ოჯახის დიასახლისი, რომელსაც გასათხოვარი გოგოები ჰყავს და სიძეც ახალი წლის წინა დღეს ქალიშვილს მიატოვებს, სასოწარკვეთაშია ჩავარდნილი. ქმარს აიძულებს ცნობილი მეკვლე სახლში მოიპატიჟოს. ცუცას როლი ციალა გურგენიძისთვის წარმატებული სტარტი აღმოჩნდა. „ჩემი საყვარელი პირველი როლია. მე არასოდეს არ მქონდა ნათამაშები კინოში და გამიმართლა. როლი ილბლიანი აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც მე ბრწყინვალე რეჟისორი მყავდა გურამ პატარაიას სახით.“

დასამახსოვრებელი და დამაჯერებელი სახის შესაქმნელად ციალა გურგენიძეს განსაკუთრებული მომზადებაც დასჭირდა. 4 თვე მეგრულს სწავლობდა. ამბობს, რომ მისი დიალექტის დანუწება ფილმის ნახვის შემდეგ სამეგრელოშიც უჭირდათ. „ეს ფილმი ძალიან კარგია, ის ყველა თაობის მაყურებლისთვისაა შექმნილი. რეჟისორმა ყველაფერი გააკეთა, რომ ფილმი გამოსულიყო ყველასთვის, რომ ყველა ასაკის მაყურებელს ენახა. ახალ წელს მე რომც არ გამახსენდეს, ხალხი მახსენებს და მეკითხება – იქნები კინოშიო... არასოდეს მეგრელი არ მქონდა ნათამაშები და 4 თვე ვიზუპირებდი ინტონაციას, სიტყვებს, სიარულს. თავიდან ძალიან შეშინებული ვიყავი და შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხალხს მოეწონა“.





გურამ პატარაიას ოჯახში ამბობენ, რომ საავტორო უფლებები ფილმზე, კინოფილმების სტუდიის შემდეგ, საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკუთვნის. სოფო პატარაიას მიაჩნია, რომ საავტორო უფლებები აუცილებლად უნდა იყოს დაცული და ეს უფლება რეჟისორის შთამომავლებს უნდა ჰქონდეთ... „საავტორო უფლებები აუცილებლად უნდა იყოს დაცული, თუ ჩვენ ვართ ცივილიზებული ქვეყანა, ეს საკითხი უნდა იყოს დარეგულირებული. უშუალო მემკვიდრე ვარ და უნდა მქონდეს უფლებები. დოკუმენტური ფილმები ჯერ კიდევ ძველ ფორმაზე შენახული. ისინი ციფრულზე გადასატანი, აღსადგენი. ახლა ალბათ მოვიდა ის დრო, როცა შეიძლება ამ საკითხის დაყენება, ეს არის ლოგიკური, რადგან მემკვიდრე გაცილებით უკეთ მოუვლის, ვიდრე სხვა.“

„კუჩხი ბედინერის“ შემქმნელის შთამომავლებს ახალი წლის მილოცვით დავემშვიდობე. ერთმანეთს ვუსურვეთ, რომ წლებანდელი იყოს ყველასთვის ილბლიანი, ისეთივე სასიამოვნო მოულოდნელობებით სავსე, როგორც ეს ფილმში მიტოვებული პატარძლისთვის იყო, როცა დაბრუნებული სასიძო დაინახა.



Author of this story was the number one Mekvle in his family. "I am the happiest when I see that no matter where I go at the New Year, everyone is watching this movie. It is everyone's favorite movie and it is the greatest recognition of the movie that not a single New Year goes by without it." Sopo Pataraiia reminisces about how the idea of making the movie was created and how the director persuaded an architect to play the leading role: "He was always Mekvle and he used to say that he brought a good luck. I remember how this idea was brought up. Irakli (Abashidze) and father were sitting and planning for another expedition when they started joking about stuff and suddenly the topic of Mekvle came up. There was another interesting episode. Juna Mikatadze, who was playing one of the leading roles in the movie, is an architect. My father started pestering him, trying to persuade him to play in the movie. Juna was going through certain financial problems. He responded to my father – leave me alone, I'm not an actor. My father had to ask the movie producer to double Juna's salary as he would be working with an animal (actors who had to work with lions and tigers received double salary) – a dog."

Tsiala Gurgenidze played in a movie for the first time when she accepted a role in Kuchkhi Bedineri. She played the character of Tsutsa, a housewife with single daughters. A fiancé of her daughter walks out on her right before the New Year. Desperate, she forces his husband to have a renowned Mekvle invited to their house. Her first role turned out to be a successful start for Tsiala Gurgenidze. "This is my favorite first role. I had never played in a movie before and I got lucky. The role itself was lucky as the director, Guram Pataraiia was amazing."

Tsiala Gurgenidze had to undergo special preparations to convincingly play a memorable role. She was learning Megrelian language for four months and as a result, even Megrelians could not complain anything about her dialect. "This is a great movie for all generations of audience. The director did his best to make the movie watchable for everyone, for viewers of all ages. People keep asking whether I am going to be in a movie or not. I had never played a Megrelian before and I was learning by heart the intonation, memorizing words, practicing the walk. I was very scared at first but later it turned out that people liked it."

According to Guram Pataraiia's family, the copyright owner of the movie is the movie studio and then public broadcaster. Sopo Pataraiia believes that it is necessary to have copyright protected and owned by the director's generation. The legal way of copyright protection will probably lead her to the copyright association in the nearest future. "Copyright must necessarily be protected and if we are a civilized country, this issue must be regulated. I am direct successor and therefore, I must be entitled to the copyright. Documentaries remain to be preserved on an old tape. It must be transferred to digital storage device and restored. The time will come when I'll be able to raise this issue. It is only logical, as successor will be able to take a better care than others."

I left the family of the director of Kuchkhi Bedineri, wishing all a Happy New Year. We wished each other good luck in the coming year, hoping that it will be full of pleasant surprises, similar to the feeling that an abandoned bride experienced when she saw her fiancé returning.



**მთავარი რედაქტორი**

ქეთევან ბოჯგუა

**ალმასრულებელი რედაქტორი**

ელენე ქემაშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ**

ქეთევან ბოჯგუა, ელისო ჯარიშვილი,  
ლიკა ბერაია, სოფო კვინტრადე

**თარგმანი**

ანა მეტრეველი

**ფოტო**

ვანო ფიცხელაური

**ტექნიკური რედაქტორები**

ნინო ცუხიშვილი, ნინო ბებრიშვილი

**კორექტორი**

ლალი ჭანტურია

**დიზაინი და დაკაბადონება**

თეონა კერესელიძე

**პოლიგრაფიული ჯგუფი**

მიხეილ მეჩიტაშვილი, არსენ ლომიძე,  
ლალი დოლიძე

**EDITOR-IN-CHIEF**

Ketevan Bojgva

**EXECUTIVE EDITOR**

Elene Kemashvili

**AUTHORS**

Ketevan Bojgva, Eliso Jariashvili,  
Lika Beraia, Sophie Kvintradze

**TRANSLATION**

Ana Metreveli

**PHOTO**

Vano Pitskhelauri

**TECHNICAL EDITING**

Nino Tsukhishvili, Nino Bebrishvili

**CORRECTOR**

Lali Chanturia

**DESIGN AND LAYOUT**

Teona Kereselidze

**POLIGRAPHY TEAM**

Mikheil Mechitishvili, Arsen Lomidze,  
Lali Dolidze

დაბეჭდილია საქპატენტის პოლიგრაფიაში  
მის.: 0179, თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31  
ტელ.: (+995 32) 291-71-82

PRINTED IN SAKPATENTI POLIGRAPHY  
ADDRESS: 0179 TBILISI, NINO RAMISHVILI STR 31  
TEL (+99532) 291 71 82

[www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)  
[info@sakpatenti.org.ge](mailto:info@sakpatenti.org.ge)



2013